# სახალხო გაზეთი

№ 524 სამშაბათი, 14 თებერვალი 1912 წ. № 524

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება, ინახება მხოლოდ თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.
ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამით ვაცხადებთ, რომ

## „სახალხო გაზეთს“

ხელის მომწერთა შემკრები აგენტები არსად არა ჰყავს გარდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების **ტფილისის** წიგნის მაღაზიისა და ამიტომ ვინც **პირდაპირ „სახალხო გაზეთის“ კანტორიდან არ იწერს გაზეთს—პასუხსაც არ ვაგებთ.** ყველა წიგნის მაღაზიას შეუძლიან მიიღოს ჩვენ გაზეთზე ხელის მოწერა მხოლოდ თავისი პასუხის მგებლობით და ამიტომ ხელის მომწერლებმა პასუხისმგებლობაც მათ უნდა მოსთხოვონ.

---

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

### სურათებიანი დამატება!

მიიღება ხელის-მოწერა

**წლიური ხელის-მომწერნი** (8 მ. 50 კ.) **მიიღებენ სალიტერატურო კრებულს „გრდემლს.“**

1 თებერვლიდან წლის ბოლომდე ღირს 8 მან.

## ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

---

მღვდელი **დიმიტრი ციქუბაძე,** მეუღლე მისი **ბარბარე გიორგის ასული,** შვილები ამათი: **სოლომანი, ნინა** და **თამარა, აბრამა გოგნიაშვილი,** მეუღლე ამისი: **ნატალია გიორგის ასული, სოლომონი დავითის ძე ზალკალიანი მეუღლით, ელისაბედ სოლომონის ასულით,** დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას ვერაგულის ხელით სად. შაგალაზე დაჭრილის, დისიხის სკოლის ზედამხედველის, დაუვიწყარ და საყვარელის პირველი ორის—სიყრმის შვილისას, მეორენი—საყვარელ ძმისას, მესამეთა—დისწულისას, მეოთხეთა—ძმისწულის

**ნიკოლოზ დიმიტრის ძის ციქუბაძისას.**

პანაშვიდი 14 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, გამოსვენება 15 თებერვალს დილის 10 ს., ნიკოლოზის ქუჩა, № 104, საკ. სახლი, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში, სადაც წირვისა და ანდერძის აგების შემდეგ დაჰკრძალავენ. უმორჩილესად ვთხოვთ ნათესავთა, ნაცნობთ და პატივისმცემელთ, მობრძანდნენ. (1—241—1)

---

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

დიდ-მარხვის სეზონი

**ხუთშაბათს, 16 თებერვალს,**

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება

**პირველად ლეონ ტოლსტოის ცნობილი პიესა:**

**ცოცხალი მკვდარი,** დრამა 6 მოქ. და 12 სურათად, თარგმ. გ. ახალციხელისა.

**ახალი დეკორაციები, ✦ ბოშათა მომღერალი გუნდი.**

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნნი ამირაჯიბი, დავითაშვილი, კარგარეთელი, ლეჟავა, ნებიერიძე, ქილარჯიშვილი, ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: აბაშიძე, აბდუშელი, იმედაშვილი, იმნაძე, ივანიძე, გუნია, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყ. სად. 8 ს.**

რეჟისორი **ვას. აბაშიძე.** ადმინისტ. **ვ. გუნია.**

**ანონსი:** მზადდება კვირისათვის ი. გედევანიშვილის პატივსაცემლად მისივე პიესა **„მსხვერპლი“,** ტაიფუნი, ჰენრიხ ნავარიელი, ვიდრე ხვალ უფალო, და სხვ. 3—1101—1)

---

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

სამშაბათს, 14 თებერვალს 1912 წ. **გაიმართება**

## სალიტერატურო-სამუსიკო საღამო

**საკონცერტო განყოფილება:**

მიხაილოვისა, შიბუევი, იზიკოვსკი, ჩაროვისა, ტეკშტრუმი, ორლიჩენკო, გრიგორიევი, ჩუბინაშვილი, საგიროვი, საყვარელიძე და სხ.

**აკომპანიმენტი ტ. სიმპლიცკაია.**

**სალიტერატურო განყოფილება:**

ბარბარე ხერხეულიძისა წაიკითხავს „მოგზაურის შთაბეჭდილებას“. გ. ამირეჯიბი ჟუკოვსკის ლექსს. თავიანთ ნაწარმოებს წაიკითხავენ: ახრახაძე, იანქოშვილი, ახოსპირელი, ოლ. ლეჟავა, გრიშაშვილი და სხ.

**დივერტისმენტი**

ლ. ფალავანდიშვილი, ციმაკურიძისა, ყარალაშვილი და ბაზიერიშვილი **იცეკვებ ლეკურს.** ზაზულია და კრაპენკო ეროვნულ ტანისამოსში შეასრულებენ **მოლოროსულ ცეკვას.** ✦ ადგილების ფასი 5—50 კ. დასაწყისი საღამოს 4 საათზე. (1 242—1).

---

## ნაძალადევის თეატრი

**შაბათს, 18 თებერვალს,**

**ბენეფისი რეჟისორის ს. პ. სვიმონიძისა.**

**ე. ჩიქოვანის, ვლად. ს. მესხიშვილის. კ. დ. ყიფიანისა** და **ნ. ს. გოცირიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

**ყაჩაღები** ტრაგედია 5 მოქ. შილლერისა.

მონაწილეობას მიიღებენ მთელი ნაძალადევის სცენის მოყვარენი. ადგილების ფასი 15 კ. ვიდრე 60 კაპ.

(5—1100—1) **დასაწყ. 7½ ს.** რეჟისორი **ს. სვიმონიძე.**

---

## ახალი კლუბი

ახალი კლუბის მამასახლისთა საბჭო

სთხოვს ბ. ბ. კლუბის წევრთა და მუდმივ სტუმართა **გვაცნობონ თვისი ადრესები.**

ადრესები შეიძლება დასტოვონ კლუბის შვეიცართან ან კანტორის სახელზე გამოგზავნონ. (2—1068—1)

---

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ძლეკისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ. 100—1534—88)

---

ბირჟის დარბაზი დღეს, 14 თებერვალს, 1912 წ. **გაიმართება**

## საღამო-მეჯლისი

ოთხ განყოფილებად

I **სარგის კაკაბაძე** წაიკითხავს ქართულად **ლექციას:** **თამარ მეფე** როგორც სიმბოლო ქართველ ერის ძლიერებისა.

II **ქართველ მომღერალთა გუნდი იმღერებს ქართლ-კახურ-იმერულ** და სხვა სიმღერებს.

**წაიკითხავენ:** ცაცა ამირაჯიბი შიო არაგვისპირელის ახალ ეტიუდს: „ორი დასკვნა“ (ცხოვრების ნამცეცი). **კოლა ერისთავი** და **კ. მაყაშვილი** ლექსებს. **მატარაძე** წაიკითხავს **ირეთელის „მრუდე სარკეს“ ა. ადამიძე**—სცენებს.

III) **ოსიკო ბარათაშვილი** დამღერს თარზედ და დუდუკზე. ცნობილი **კაკა დიდზურაბოვი** ქიანურზე დამღერის (ბაყაყის“, „ლოტოს“ და „ჯარაზე დართვის“ კუპლეტებს. **თუში** ფანდურზე. **მესტვირე ბლიაძე** იმღერებს საამდროვო კუპლეტებს.

IV) **ცეკვა-თამაში**

ევროპიული, კავკასიური, ებრაული და სხვა.

**ლეკურს იცეკვებენ** ქ-ნი **დიდიას ასული** და თ-დი **მაყაშვილი,** კაკა დიდზურაბოვი გაითამაშებს ოხუნჯურ „ჟიტომირსკის“. **დასაწყ. სად. 8 ს.**

ბილეთები იყიდება „ბირჟის“ კასაში.

(1.343.1) ადმინისტ. **ი. გრიშაშვილი.**

---

საარატოვის სარპინკების მექარხნენი

## ე. ე. მაიერის

## სავაჭრო სახლი

ტფილისი, ერევნის მოედანი „კავკაზის“ რედაქცის ქვეშ.

აუწყებს პატივცემულ მსყიდველთ, რომ მივიღეთ აუარებელი რიცხვი ნაირ-ნაირი სარფინკის საქონლისა, ყველასთვის ხელმისაწდომ ფასებში, ზეფირი საუკეთესო ხარისხისა არშინი 13 კ., აბრეშუმისა არშინი 35 კ. გვაქვს აგრედვე **ქალის წინსაფარები** (რეფორმა) სარატოვისა. მოდური **ქვედა ტანი, ჩულქები** სკანდინავიის საუკეთესო ნართავ სარპინკისა.

მივიღეთ ახალ-ახალი **მოდური საქალო ყელსახვევები** (შარფები) უკანასკნელ სეზონისა.

**მამაკაცთა ღამის პერანგები** მოდურ სახიან საუკეთესო ზეფირის სარფინკისა და სხვა. მასალისა.

პატივისცემით

სავაჭრო სახლი **ე. ე. მაიერისა**

(1—1102—1)

---

## ახალი კლუბი

**სამშაბათს, 13 თებერვალს,**

### პირველი სიმფონიური კრება

სოლისტი-მესკრიპკე **კ. ვრუბლის** მონაწილეობით, **ს. ი. პრესმანის** ლოტბარობით: 1) **მეხუთე სიმფონია—ბეთჰოვენისა.** 2) უვერ. ქირონდისტები - ლიტოლფისა. 3) YALSE TRISE—სიბელიუსისა. 4) კონცერტი სკრიპკისათვის—ბუხისა. 5) **ალჟირელი სიუიტა** - სენსანსისა.

ადგილ. ფასი თეატრში 1 მ. 50 კ. 30 კ.-მდე, ქანდარაზე 40—10 კ.-დე, განსაკუთრებით მოსწავლეთათვის. სტუმრ. კლუბში შესასვლელად იხდ.: კაცი 1 მ., ქალი და სტ. 25 კ. (3.1058.2)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ძსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგანი ავადმყოფ. | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.<br>**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| სადოსტაქრო ავ. (ქირურგიული). | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| სამშობიარო. ქალ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.<br>**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ბავშვების ავადმყოფ. | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.<br>**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. ყელ. და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3. |
| თვალის ავ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½. |
| კან. და ვენ. ავ. | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wass-rman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კაცეტერიზაცია; „606“ **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათიანი საფასურით. (წ.—1010—267/

---

**დოქტორი მედიცინისა**

## ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 103)

---

**გამოცდილმა**

## მასწავლებელმა

**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა** მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

**აგრედვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო** და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შევსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.86)

---

## საბურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 233)

---

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—42).

---

**იბეჭდება და თებერვლის დამლევს გამოვა**

## აკაკი-ს

### თხზულების პირველი წიგნი,

რომელშიაც მოთავსებული იქნება **ახალი** ნაწარმოები ჯერ დაუბეჭდავ და აგრედვე **ძველიც,** ზოგიერთის შენიშვნებითა და განმარტებით. წინასწარის ხელის მოწერით წიგნი ეღირება **ათ შაურად.**

ხელის-მოწერა შეიძლება ტფილისს:—წერა-კითხვის გამ. საზ. და „ცოდნა“-ს წიგნ. მაღაზიაში; ქუთაისს:—„კოლხიდის“ რედაქციაში, მთავრიშვილის წიგნის მაღაზ. და კანტ. „იმერეთში“. ბათომს—ნ. ა. საბაშვილთან; ფოთს—ი. კოხრეიძესთან; ყვირილას—წიგნის მაღაზიებში. (თ. 1044.20)

---

## ახალი კლუბი

**ახალი კლუბის მამასახლისთა საბჭო** ამით აცნობებს ბ.ბ. კლუბის წევრთა, რომ **ამა თებერვლის 16-ს, საღამოს 8 საათზე,** დანიშნულია

## წლიური კრება

გასასინჯავად 1911 წლის ანგარიშისა, 1912 წ. ხარჯთ-აღრიცხვისა და თანამდებობის პირთა ამოსარჩევად.

ბ.ბ. კლუბის წევრთ, რომელთაც ჯერ ფული არ შეუტანიათ, სთხოვენ დროზედ, 16 თებერვლამდე, წარადგინონ საწევრო გადასახადი, რომ ჰქონდეთ უფლება კრებისა და არჩევნებზე მონაწილეობის მიღებისა. (4—1068—3)

---

**გამოვიდა და იყიდება**

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

**წიგნის მაღაზიაში**

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

**სალიტერატურო კრებული**

## „გრდემლი“

**ფასი** 1 მ. 50 კ. (თ.1098.5)

---

**ექიმი პ. არდაზიანი**

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.43).

---

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

---

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

---

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., №

---

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

---

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10 2 ს.-მდე და საღამოს 5 7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

---

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 73).

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**
**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,
**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.
**ბა. პოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.
**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.
**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით
**წამლობა 606 -**
(წლ. 1090 27ე)

**ექიმი ე. ი. მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—96).

**ექიმი** დ. სურამში აპოლონ ლუკას ძე **ტყემალაძე** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღეს. )თ.—125—1)

**ექიმი კბილისა იოსებ ზაქარიას ძე კანდელაკი** მიიღებს დილით **9-დან 2-მდის** და საღ. **4-დან** 5-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხვას ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპ. **№ 7.** (50--1552--36)

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყოფობას. **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.
ავადმყოფთა მიღება ნაშუადღევს 3—5½ საათამდე, **ელისაბედის ქუჩა,** № 94, საფოსტო განყოფილების პირდაპირ. (თ.—183—23)

# ქართული პრესა

„თემი“ გვიჯავრდება. საზოგადოდ მას ჩვეულებადა სჭირს გაჯავრება, თითქოს „თემთან“ გამოკამათება და მისი აზრების დაწუნება მომაკვდინებელი ცოდო იყოს. ჯავრობს, მაგრამ ჩვენ ვეცდებით გულ-გრილად ვუპასუხოთ. „თემს“ არ მოსწონს ჩვენი აზრი, რომ დღევანდელს პირობებში ისეთი კონცერტი, რომელზედაც „თემი“ სწერს, სარგებლობას არ მოგვიტანს. ჩვენის აზრით, საჭიროა ჯერ ნიადაგის მომზადება, როდესაც ნიადაგი მომზადდება, მაშინ ასეთი კონცერტის გამართვაც მოხერხდება. აი, ამიტომ გაგვიკვირდა, როდესაც ფილარმონიულ საზოგადოებას მოახვია კისერზე „თემმა“ ასეთი კონცერტის გამართვა და მოითხოვა, რომ პირველ კონცერტის აღსანიშნავ სადღესასწაულო კონცერტის შემოსავალი ამ საქმეს მოხმარებოდა. „თემს“ კი ისე გაუგია ჩვენი სიტყვები, თითქოს საზოგადოდ ნიადაგის მომზადების წინააღმდეგიც ვიყოთ. ასე იცის სიბრაზემ და ულაგო გაჯავრებამ.

> „ამნაირად, სახალხოელების ლოღიკით, მომღერალთა საზოგადოების „სანთურის“ დაარსებისათვის საჭირო ნიადაგის შემზადება კულტურულ ღირებულებას არ წარმოადგენს“,

სწერს „თემი“. ვინ მოგახსენათ? თუ „სანთური“, რომელიც ჯერჯერობით ცარიელ სიტყვას წარმოადგენს, მუშაობას დაიწყებს და ნიადაგს მოუმზადებს, ეს ხმა სწორედ ის **საქმე** იქნება, რომელსაც ჩვენ დიდს კულტურულ ღირებულებას ვაძლევთ? იმუშაონ, გააკეთონ საქმე, და როდესაც ნიადაგი მომზადდება, ისეთი კონცერტის გამართვაც მოხერხდება, რომელზედაც „თემი“ ოცნებობს.

> „ვაუწყებთ ყველას,—სწერს „თემი,—ვისაც აინტერესებს ჩვენ მიერ აღძრული საკითხი, რომ შესდგა კიდეც წრე, რომელმაც უკვე მიჰმართა ქართველ სტუდენტთა ორგანიზაციებს, საქართველოში არსებულ მომღერალთა გუნდებს, წარჩინებულ ცალკე მომღერლებს თხოვნით მომავალ დღესასწაულის გამართვაში მონაწილეობა მიიღონ. ზოგიერთებისაგან თანხმობა კიდეც მიღებულია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ნაბიჯი გამოიწვევს ქართველი საზოგადოების შეგნებულ და მიუდგომელ ნაწილში თანაგრძნობას და ხელს შეუწყობს დიად საქმეს—ეროვნულ მომღერალთა საზოგადოების დაარსებას“.

ღმერთმა ქმნას, ჩვენმა თხამ მგელი დაიჭიროს! მაგრამ ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ჯერ მომღერალთა საზოგადოება უნდა დაარსდეს, მომღერლები მოამზადოს და მერე იფიქროს კონცერტებზე. საღი აზროვნება ამას გვეუბნება, და „თემისა“ კი-რა მოგახსენოთ.

* *

ქუთათური გაზეთი „ცხოვრება“ ეხება იმ ნაციონალისტურ პოლიტიკას, რომელსაც ჩვენში აწარმოებენ, და, სხვათა შორის სწერს:

> „დაპირებით ჩვენ ბევრს რამეს გვპირდებოდნენ. ერობის შემოღება, დროებით ვალდებულ გლეხთა და ხიზანთა ინსტიტუტის გაუქმება, უმაღლესი სასწავლებელი—ერთ დროს ყველა ამ რეფორმებს და სხვებსაც კავკასიისთვის შესაძლებლად და მიუცილებელ საჭიროებად სცნობდნენ.

ბევრი ეცადა საზოგადოება, მოიარეს პეტერბურგი „ცნობილმა“ საზოგადო მოღვაწეებმა, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდნენ, უნივერსიტეტის საკითხი ისევ შორეულ დროისთვის გადაიდოვო:

> „ეს ფაქტი კარგი გაკვეთილია იმ მელაყბებისათვის,—სწერს „ცხოვრება“,—რომელთაც ჰგონიათ, რომ ადგილობრივი საკითხი შეიძლება გადასწყდეს საერთო საკითხისაგან დამოუკიდებლად.

ძალიან საეჭვოა, ბევრი გამოჩნდეს ისეთი, რომელსაც ასე ჰგონია, მაგრამ ადგილობრივ ეროვნულ ინტერესებს რომ აქვე, ჩვენშივე, უხეირო დამცველები უჩნდებიან ხოლმე, ამაში კი ეჭვი არავის დაებადება.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ვინმე ამერი „გოლოს კავკაზა“-ში ბოროტების გესლს ანთხევს ქართველებზე. ამერი სწერს, „ზაკავკაზსკაია რეჩ“-ის სიტყვით, ეპისკოპოს კირიონის სამსახურიდან დათხოვნა ეპისკოპ გერმოგენის დაბეზღებამ გამოიწვიაო. ამის გამო ამერი სწერს:

> „განა შეეძლო ისეთს ერთგულს დამცველს კანონიერებისას საეკლესიო საკითხებში, რანაირიც სარატოვის ბერი იყო, გულ-გრილად ეცქირა იმ მოძრაობისთვის, რომლის ხელმძღვანელადაც ეპ. კირიონს მიაჩნდა თავისი თავი? რასაკვირველია, არა. ქართულ ავტოკეფალისტურ მოძრაობას, გარდა იმისა, რომ საერთოდ რუსეთის ეკლესიის მშვიდობიანობისთვის საშიში იყო, ცხადი ანტი-სახელმწიფოებრივი ხასიათი ჰქონდა. ავტონომიზმის აზრებით გატაცებულებმა პირველ, საცდელ საქმედ აირჩიეს ქართულ ეკლესიის ავტოკეფალია და დაიწყეს ყვირილი, თუ ავტოკეფალია არ განვახორციელეთ, ივერიის ეკლესია დაიღუპებაო; ნამდვილად კი მალე გამოირკვა, რომ ავტოკეფალიის მოთხოვნას სეპარატიზმამდე მივყავდით.

ასე ერთობა ლანძღვა-გინებაში ამერი და დომხალივით ურევს ერთმანეთში ავტონომიას, ავტოკეფალიას და სეპარატიზმს. იმისთვის ყველაფერი, რაც რუსული არ არის—სეპარატიზმია. რას იზამთ? ბევრნაირი ავადმყოფობა არსებობს! მაგრამ ერთი რად ავიწყდება ამერს? სახელდობრ ის, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის, რომ უკანასკნელ სიტყვის თქმა ხელმწიფემ რუსეთის მომავალ საეკლესიო კრებას მიანდო?

* *

„გაზეთი „რუსკოე სლოვო“ კოკოვცევის მოქმედებაზე სწერს:

> პრემიერსა ჰსურდა მოქმედ კანონმდებლობის ნიადაგზე მოქიშპე პალატები შეთანხმებულ მუშაობისთვის მოეწოდებინა. მას განსაკუთრებით თვისი პირადი გავლენის იმედი ჰქონდა. ზედა პალატაში პირველ კლასის ბიუროკრატებმა სურვილი გამოსთქვეს პრემიერის ზედ-გავლენის წინააღმდეგ გალაშქრებისა. ხოლო დანარჩენები მოითხოვდნენ. პრემიერს დაუთმოთო. ეს დათმობა ეხლა უკვე მოწესრიგდა: საბჭო არ დააყოვნებს კანონ-პროექტების განხილვას და არც მათს უარყოფას შეეცდება, ხოლო ზოგიერთ „მეორე—ხარისხოვან შესწორებით მიიღებს, რომელშიაც საბჭოს უმრავლესობის აზრი ნათლად იქმნება აღნიშნული და რომელთაც სათათბირო არაოდეს არ დაეთანხმება. ამგვარად იქნება კანონ-პროექტი უარყოფილი და პასუხის გებაც სათათბიროს დააწვება“.

გაზეთი აღნიშნავს ამ მდგომარეობის სიძნელეს და მრავალ კანონ-პროექტებს იხსენიებს რომელნიც ასეთის გზით უარჰყვეს. რა უნდა ჰქნას ამ შემთხვევაში პრემიერმა, ნუ თუ სტოლიპინის აზრს უნდა მიემხროს, რომ 87 მუხლის ძალით გაიყვანოს კანონ-პროექტი? ამის შესახებ გაზეთი სწერს:

> „არ ვიცი, როგორ მოიქცევა ახალი პრემიერი, როდესაც კანონმდებლობით უილაჯობა საკანონმდებლო ანარქიას უთმობს ადგილს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ საბჭოს მიერ განზრახული ჩვენი პარლამენტის გაკოტრების გზაზე დაყენება ისეთს პირობებსა ჰქმნის, როდესაც ნაპოლეონის მიერ ნათქვამ სიტყვებს ნიადაგი ეძლევა.

# სახელმწიფო საბჭო

**გოლუბევი თავჯდომარეობს.** განაგრძობენ კამათს მემკვიდრეობის უფლებებში ქალთა მამაკაცებთან გათანასწორების კანონ-პროექტის შესახებ. საერთო კამათში მონაწილეობას იღებენ **კოვალევსკი, კონი, სტიშინსკი, კობილინსკი.**

**კომისიის თავჯდომარე მანუხინი** იხილავს პროექტის მომხრეთა და წინააღმდეგთა მოსაზრებით და აღნიშნავს: უმრავლესობის პროექტი უფრო მისაღებია, რადგანაც მასში გატარებულია ის ზომები, რომელნიც მამულის გადამეტებულ დანაწილებას ხელს შეუშლისო. 90 ხმით 52 წინააღმდეგ კანონ-პროექტის მუხლებრივი განხილვა გადასწყვიტეს. ამასთანავე **სტიშინსკიმ** სურვილი გამოსთქვა, რომ იუსტიციის სამინისტრომ დაუყონებლივ შეიმუშაოს საკანონმდებლო ზომები მიწადმფლობელობის განსამტკიცებლად დ მამულის დანაწილებისთვის მიჯნების ჩასაყრელად. სხდომა დროებით შესწყვიტეს.

სხდომის განახლების შემდეგ, მთელი სხდომა სამოქალაქო კანონის 1128 მუხლის ახალი რედაქციის განხილვას მოანდომეს. კომისიის უმრავლესობა წინადადებას იძლევა აღნიშნონ, რომ შვილები ორივე სქესისა თანასწორად იყოფენ სამემკვიდროს, ხოლო შვილის-შვილების და შვილის-შვილის-შვილები გვარ-შთამომავლობითი უფლების მიხედვით ინაწილებენ მას.

**სტიშინსკი, ობოლენსკი, უშაკოვი და გოვორუხო-ოტროკის** აზრით მუხლი გლეხების ოჯახთა შორის დიდს შუღლს ჩამოაგდებს და „ხუტორის“ მეურნეობას ბოლოს მოუღებს.

74 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 64, საბჭომ მიიღო კომისიის უმცირესობის წინადადება, რომელიც უძრავ ქონების მემკვიდრეობაში და ძმის მეშვიდედი მიაკუთვნებს. ამნაირად მეშვიდედი მიღებულ იქმნა სოფლის უძრავ და კეთილ-შენაძენ მამულების შესახებ.

**მეიშტოვიჩის** წინადადებით ეს წესი გავრცელებულ იქმნა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარზედაც.

შემდეგი სხდომა 13 თებერვალს მოხდება.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ფრენა.** 12 თებერვალს დიდუბის საჯირითო მოედანზე ფრენა გაიმართა. იფრინეს ბაქოდან ჩამოსულმა მფრინავებმა. პირველად გაფრინდა აგაფონოვი, ავიდა 600 მეტრის სიმაღლეზე და 8 წამის შემდეგ დაბლა დაეშვა. მეორედ გაფრინდა ევსიუკოვი, რომელსაც გვერდით უჯდა ერთი მგზავრიც, საოპერო დასის მსახიობი ქალი სიალსკაია. ავიდა 110 მეტრის სიმაღლეზე და 7 წამს იფრინა. მესამედ სლიუსარენკო გაფრინდა. ავიდა 100 მეტრის სიმაღლეზე. იფრინა 8 წამს. მეოთხედ აგაფონოვი მგზავრით (აფიცრით) გაფრინდა. ავიდა 35—40 მეტრის სიმაღლეზე და 4 წამს იფრინა. მეხუთედ მარტოკა გაფრინდა კვლავ აგაფონოვი, რომელმაც ხალხი დიდს აღტაცებაში მოიყვანა. აგაფონოვი 1000 მეტრის სიმაღლეზე ავიდა, მოხდენილად გაინავარდა ავჭალისაკენ, კოხტადვე მობრუნდა იქიდან, მოედანს გარს შემოუარა და 11 წამის ფრენის შემდეგ დაბლა დაეშვა. ხალხი მხურვალე ტაშისცემით მიეგება. მფრინავ ქალს ზვერევს არ უფრენია.

✦ **თავის მოკვლის განზრახვით** 12 თებერვალს თავი მოიწამლა მარიამ ვასილის ასულმა კოლიანისამ.

✦ **კიდევ მეპურენი.** 12 და 13 თებერვალს ქალაქის პირველსა და მესამე უბანში 52 მეპურეს შეუდგინეს ოქმი იმის გამო, რომ მეორე ხარისხის პურს არ აცხობენ.

✦ ამ დღეებში ტფილისში გამოვა ახალი რუსული გაზეთი „ნოვაია გაზეტა“ ბოღდან ერიწიანის რედაქტორობით.

✦ 3 მარტს ქართულს თეატრში **ივ. გომართლის მონაწილეობით სალიტერატურო საღამო** გაიმართება.

✦ დღეს ბირჟის დარბაზში საყურადღებო **საღამო-მეჯლისი** გაიმართება.

✦ სომხურმა დრამატიულმა საზოგადოებამ ქალაქის გამგეობას აცნობა, რომ ის ბოგ. ერიციანის კანდიდატურას ასახელებს სახალხო სახლის გამგე კომისიაში

✦ **ქალის მოკვლა.** 12 თებერვალს სიღნაღის მცხოვრებმა არკაშ ივანეს ძე ოჰანეზოვმა კიროჩნი ქუჩაზე დანით გულსა და კისერში დასჭრა ელენე მარტინეს ასული ბუდზიშევსკი, რომელთანაც სცხოვრობდა. ქალი საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ გზაზე გარდაიცვალა, დამნაშავე შეიპყრეს.

✦ **კავკასიის ნამესტნიკს წარუდგა** 11 თებერვალს ქალთა უმაღლეს კურსების დირექტორი პროფ. ფ. ვ. ბლაგოვიდოვი.

✦ **გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი** გორის მაზრიდან დაბრუნდა.

✦ პეტერბურგის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი **ა. ვ. პრახოვი,** რომელიც ჩამოსული იყო ამიერ-კავკასიის შინა მრეწველობის შესასწავლად, 11 თებერვალს პეტერბურგს დაბრუნდა.

✦ სახალხო სახლთან **ბერძნული დრამატიული** [illegible]

✦ ცხრა თებერვალს (ახალის სტილით) 1912 წლის [illegible] დაუსრულებია **ვენის უნივერსიტეტში მედიკური ფაკულტეტი ბესარიონ იროდიონის ძე ოქროპირიძეს.** აღსანიშნავია რომ იგი ერთად ერთი ქართველია, რომელიც ვენის უნივერსიტეტის დიპლომითაა დაჯილდოებული.

✦ **კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა** სახალხო განათლების სამინისტროს სთხოვა, გამოჰგზანოს ის 245,320 მან. რომელიც **გორის სემინარიის** შენობის ასაგებად არის გადადებული.

✦ **წყალთა ინსპექციამ** დაამტკიცა სოფ. ჩუმლაყის (სიღნაღის მაზრა) წყალსადენის პროექტი დ ხარჯთაღრიცხვა, რომელიც ნავარაუდევია 4.000 მან.

**ფქვილის ფასს,** როგორც ტფილისში მიღებული ცნობა გადმოგვცემს, როსტოვში შესამჩნევად დაუწევია.

✦ ტფილისში 11 და 12 თებერვალს 172 უპასპორტო შეიპყრეს.

✦ 12 თებერვალს არაგვის ქუჩაზე მამრობითის სქესის ბავშვი იპოვეს. ამავე დღეს მამრობითის სქესის ბავშვი ელისაბედის ქუჩაზედაც იპოვეს. ბავშვები ოლგას სახებით ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება** 12 თებერვალს მოხდა. განსახილველი საგანი იყო მოხსენება იმის შესახებ, თუ ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურობამ როგორი მონაწილეობა უნდა მიიღოს **რომანთა გვარეულობის** სამასის წლის მეფობისა და 1912 წ. სამამულიშვილო ომის ასის წლის თავის აღსანიშნავ დღესასწაულში კრებამ დაადგინა, რწმუნება მისცეს თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილის, რათა თავად-აზნაურთა სახელით დაესწროს. და მონაწილეობა მიიღოს თავად-აზნაურთა წარმომადგენელთა **კრებაზე,** რომელიც ამ საგნის თაობაზე მოსკოვში უნდა მოხდეს.

✦ **მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოების კრება** 19 თებერვალს მოხდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების შენობაში.

## სასამართლო

✦ **ოლქის სასამართლოს სესია** გორიდან დაბრუნდა.

## ქუთაისი.

✦ ხუთშაბათს, ნაშუადღევის ორ საათზე სასამართლოს დარბაზში შესულა დაპატიმრებულ **გვეტაძის ცოლი.** დერეფანში შეჰხვედრია გამომძიებელს იუსტინოვს და უთხოვნია ქმრის თავდებობით გათავისუფლება—შვილები შიმშილით მეხოცება, პატრონი არ გამაჩნიაო. სწორეთ იმ დღეს უნდა გადაწყვეტილიყო.—გვეტაძეს გაუშვებდენ თუ არა თავდებ

# კრიტიკული შენიშვნები

3.

**„გრდემლი“. წიგნი I, სალიტერატურო კრებული, გამოცემა ქართულ „სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებისა.**

(შემდეგი *)

დიდი იმედით შევსცქეროდით ჩვენს ახალგაზდა პოეტს ალ. შანშიაშვილს. „შვების თავადის“ გარჩევის დროს იმედი გამოვსთქვი, რომ ასეთი ნაწარმოების შემქნელი მრავალ ძვირფას განძს შესძენს ჩვენს მწერლობას-თქო და მართლაც ამ მხრივ იმედი მიმართლდება: შანშიაშვილი თვის შემოქმედებაში თანდათან ამხილებს უტყუარსა და ძლიერს ნიჭს.

ჩვენში ბევრნი იყვნენ ისეთნი, რომელნიც „შვების თავადს“ სრულიად უნიჭო ნაწარმოებად და სხვა ნაწარმოებიდან ნასესხებად სთვლიდნენ. მაგრამ ყველა ბევრად თუ ცოტად ნიჭიერი პოეტის, თუ მწერლის ბედი ასეთივე იყო. მოვიგონოთ რუსეთის ერის სიამაყე—პუშკინი.

როდესაც ჯერ კიდევ ახალგაზდა მგოსანმა გამოსცა თავისი პოემა: „რუსლანა და ლიუდმილა“, ჟუკოვსკი აღფრთოვანებული მიეგება მას და თავის სურათზე, რომელიც სახსოვრად უძღვნა ახალგაზდა პოეტს, შემდეგი დაუვიწყარი და ფრიად შესანიშნავი სიტყვები დააწერა: „გამარჯვებულს მოსწავლეს, დამარცხებული მასწავლებელისაგანაო“.

მაგრამ სულ სხვანაირად შეხედა ამავე ნაწარმოებს რუსეთის ცნობილმა პოეტმა ი. ი. დმიტრიევმა, რომელმაც მის შესახებ შემდეგი სთქვა: „უექველია, დედა თავის ქალიშვილს უბრძანებს, რომ ზედ დააფურთხოსო“. ხედავთ, წაკითხვის ღირსადაც კი არ სთვლის დმიტრიევი ამ პოემას და ზედ დაფურთხებას უკარნახებს საზოგადოებას!

გოგოლსაც ბევრი მწუხარება მიაყენეს „რევიზორისა“ და „მიორტვია დუში“ გამო. დღეს კი მთელი რუსეთი ამაყობს მათი; დღეს პუშკინი და გოგოლი რუსეთისათვის გაცისკროვნებული ვარსკვლავებია, რომელნიც მის ეროვნულ ცხოვრების მანათობლად გამხდარან.

არა ერთხელ აღმინიშნავს, რომ საბერძნეთის მითოლოგია თუ ლეგენდები დაუშრეტელი ზღვაა მხატვრული შემოქმედებისათვის.

მათში შემოგვესმებათ ძლიერი ღაღადისი შეურყვნელი ხალხოსნობისა და დიადი სურათი ამ ერის გენიალური შემოქმედებითი ნიჭისა თვალ-წინ გეშლებათ. თქვენ ჰგრძნობთ, რომ მათი შემქნელნი თვით იყვნენ დიადი ბუნების მატარებელნი და ძლიერი გრძნობა მათდამი პატივისცემისა და მოკრძალებისა იცავს თქვენს არსებას.

ამიტომ მეტად გვესიამოვნა, როდესაც „გრდემლში“ ჩვენი პოეტის ნაწარმოებიც ვიხილეთ და ისიც მედეისა და მშვენიერ ელენეს ცხოვრების შესახებ.

მედია დ მშვენიერი ელენე, ეს ხომ ის პიროვნებანი არიან, რომელთა ცხოვრებას მრავალ დიდებულ ნიჭისათვის მიუცია მასალა შემოქმედებისათვის! მედიასა და მშვენიერ ელენეს ამბავის მოსმენა, თუ გინდ იგი ზღაპარიც იყოს ხომ არასოდეს არ მოსწყინდება კაცობრიობას! მერე ისეთი მშვენიერის ენით და მხატვრულად დაწერილი ნაწარმოების, როგორც ეს ჩვენს პოეტს აქვს!

აქ სწორედ რომ სიძლიერით ამოუხეთქია პოეტის მადლიან ნიჭს და შოთასებური ენით დაწერილ მხატვრულ, ნაწარმოებში ისეთი რამ შეუქმნია, რაც კულტურულად ჩვენზე გაცილებით წინმდგომ ერის სიამაყესაც კი შეადგენდა.

მოკლედ გავითვალისწინოთ მედეისა და მშვენიერ ელენეს ვინაობა. მედია კოლხეთის მეფის ეტეოსის ქალი იყო. მას ზედმიწევნით შესწავლილი ჰქონდა მისნობა. ოქროს კრავისთვის კოლხეთში მოსული პელიის მეფის ძმის წული იასონი მას ვერაგულად უღალატებს და კრეონტოს-კრეუსის ქალის გლავკის ცოლად შერთვას ეპირება. მედია მოშხამული ტანისამოსით ჰკლავს იასონის საცოლეს და მის მამას და შემდეგ ძალზე აღშფოთებული თავისივე ხელით ასალმებს წუთი-სოფელს თვის ორ შვილს: მერმეროსსა და თერეტოს. მოკლედ ასეთია ის ჩონჩხი, რომელზედაც მრავალი მხატვრული ნაწარმოები შეუქმნიათ მაგალითად კორნელის პიესა „მედეია“.

მშვენიერი ელენე ზევსისა და ლედას ასული იყო. იგი ცოლად ჰყავდა სპარტის მეფეს მენელეოს. ერთხელ მენელეოს სტუმრად ეწვია ტროადელთა*) მეფის პრიამოსის ვაჟი პარისი, რომელიც ძალზე ლამაზი იყო. ელენეს სილამაზით მოხიბლულმა პარისმა გაიტაცა იგი თვის ქვეყანაში. შეურაცყოფისათვის შურის საძიებლად საბერძნეთის ყველა მეფეები შეერთდნენ და აგამემნონოსის**) მეთაურობით ტროადელთ ომი გამოუცხადეს, რომელიც 10 წელს გაგრძელდა, და ტროადელთა სრული დამარცხებით დამთავრდა.

თუ რამდენად ლამაზი იყო მშვენიერი ელენე, ამას, სხვათა შორის შემდეგიც მოწმობს: საბერძნეთის დიდებული პოეტი ჰომიროსი სილამაზის დასურათებაში არასოდეს არ მიჰმართავს დაწვრილებითი აღწერას მაგალითად იგი ამბობს: ნირეოსი მშვენიერია, ახილეოსი კიდევ უფრო მშვენიერი, ხოლო ელენა ღვთიური სილამაზითაა შემკობილიო. ჰომიროსი ცალ-ცალკე არ ჩამოგვითვლის ელენეს სახის სილამაზეს და სულ სხვა გზით გვამცნევს მის წარმტაც სიმშვენიერეს. მოვიგონოთ, „ილიადიდან“ ის ადგილი, სადაც ელენე ტროადელ მოხუცთა კრებას ესწრება. მის დანახვაზე მოხუცნი ერთმანეთს ეუბნევიან: „არა, ვერ გავკიცხავთ, თუ ტროადელთა შვილები და აქეელები ასეთი ქალისათვის ურთი-ერთს ეომებიან და მრავალს გაჭირვებას ითმენენ; მართლაც რომ ღმერთების დასადარია იგი თვისი სიმშვენიერითო“. ამაზე უკეთესად სილამაზის დასურათება შეუძლებელია, როდესაც სამარის პირზე მისულნი მოხუცნიც კი აღიარებენ, ელენე ღირსია, რომ მისთვის ათი წლის განმავლობაში ომი სწარმოებდეს და სისხლი მთიდან მოსხლეტილ ნაკადივით იღვრებოდესო; მაგრამ წერილი ისედაც გაგვიგრძელდა და ისევ ჩვენს პოეტს დაუბრუნდეთ.

სიტყვა კაზმულ მწერლობის საზოგადოების კრებულში მოთავსებულია ა. შანშიაშვილის პოემის „მედია და მშვენიერი ელენეს“ მხოლოდ ნაწყვეტი: „იასონ და რენო“. უნდა აღვიარო, რომ ფრიად სასურველია ამ პოემის სავსებით დაბეჭდვა, რადგან იგი ღირსია იმისა, რომ ქართველი საზოგადოება დაახლოვებით გაეცნოს და შესაფერი მსჯავრი დასდოს მას, როგორც ღრმად ხელოვნურ ნაწარმოებს.

პოემის შესავალში პოეტი შემდეგ სურვილს გამოსთქვამს:

> „მსურს—ერთხელ კიდევ დავმღერო, ქალი შევაქო მედია;
> სისხლის ფერებით შევამკო ამაყის განაბედია:
> ხოლო იაზონს ვანანო, ვაგლოვო წანახედია“.

პოემა იწყება ოქროს მატყლოვან ვერძის ამბით. იოლქის მეფის აფამანტის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა ძმა მისი კრიტესი. აფამანტს დარჩა ორი შვილი, ვაჟი—ფიქსი და ასული ელე. როდესაც ყმაწვილები წამოიზარდნენ, მათ ერთმანეთი შეუყვარდათ და საუკუნო ერთგულების ფიცი მისცეს ურთი-ერთს.

> „ფიქს უყვარდა ჩანგზე დაკვრა, შაირის თქმა და სიმღერა.
> შორეულის მიზნად სახვა და ოცნების თვალით მზერა.
> თვითონ ჰქმნიდა ღამის ლოცვას, თვითვე ტკბილად ღაღადებდა.
> დას ჰმონებდა, შეხაროდა მას ცათამდი ამაღლებდა“.

მაგრამ ამ ორი არსების წრფელს სიყვარულს წინ გადაეღობა მეფე კრიტესის ცოლი დემეტიკა. მან მიზნად დაისახა ლამაზი ფრიქსის მიჯნურად შეჰქმნა. დემეტიკა, რომლის

> „შავი თვალნი სხივს აფრქვევდნენ, ჟუჟუნობდნენ, ერთობოდნენ
> ვნების ტალღას აცურებდნენ, ხან ჩნდებოდნენ, ხან ქრებოდნენ;
> კუნაპეტის ცისარტყელად წამწამ-წარბნი ევლებოდნენ,

მეტად ვნებიანი და თავისი სურვილის შესრულებით ძალზე გატაცებული იყო. მეფის სასახლეში გამართულ ნადიმზე დემეტიკა. ყველაფერში გაუტყდა ფრიქს და მისგან თანაგრძნობას ითხოვდა, ფრიქსმა კი პირდაპირ განუცხადა, რომ სულ სხვაა მისი გულის სატრფო, რომლის ღალატს იგი არასოდეს არ იკისრებს.

ჩვენს ახალს მწერლობაში არ მოიპოვება მსგავსი რამ, რომელიც ჩვენი პოეტის მიერ ამ ვნება აშლილი ქალის მოქმედებათა სურათის გადმოცემას შეედარებოდეს. აქ მართლაც რომ ღვთიურის ნიჭითამ დასურათ-ხატებული დემეტიკას ავნებიან სულის ტკივილები, რომელიც იმდენად შეუპყრია ვნება-აშლილ ჟინს, რომ ფრიქსის წინაშე მუხლსაც კი იყრის: ოღონდ გულს მიიკრას ფრიქსი, ოღონდ ხარბად დაეწაფოს მის გაპობილს ტუჩებს და შემდეგ თუგინდ საუკუნო სატანჯველს მიეცეს; ერთი წუთი ფრიქსთან სიამოვნებისა მისთვის დაუშრეტელი ზღვაა ბედნიერებისა. მოისმინეთ რას ეუბნევა იგი ფრიქსს:

> „ვერ მიმხვდარხარ, უწინაც კი შენს გარეშე ყველას ვგმობდი
> გიქარგავდი ცხოვრების გზას, ღამით შენთვის ვლოცულობდი
> მოგილოდე. ყრმა შეიქმენ, აწ თმით გიქსოვ სუბუქ ბადეს:
> წმინდა ღმერთებს სხვერპლსა ვსწირავ, ჩემთვის გშობეს და დაგბადეს“,

იგი ფრიქსის გულში ჩაკვრას ეპირება მაგრამ ფრიქსი ხელიდან გამოუსხლტება და მზადაა დაუტევოს დემეტიკას ოთახი, „დემეტიკამ ხელი სტაცა, „ნუ მიდიხარ“ დაუმატა“; ამ ორ სიტყვაში „ნუ მიდიხარო“ პოეტმა სავსებით გადმოგვცა დემეტიკას სულის კვეთება, რომლის სულის გამოძახილია ეს სიტყვები ვნების დაუკმაყოფილებით გამოწვეული.

> „**მოვედ, მოვედ! ნუ გამწირავ! შემიტკბე და გამახარე!**
> **მკერდი ჩემი გადმიშლია, კოცნა ბაგეს დამაფარე,**
> **ვნების ტალღას გამახვიე! შენსა ჩრდილსა შემაფარე;**
> **შემდეგ თუნდა მიწას მიმეც და სამარე გამითხარეო**“*),

ემუდარება მუხლ მოდრეკით დე-

---

[*] იხ. „სახ. გაზ. № 522

[*] ტროადელთა სამეფო მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთის ნაპირზე მდებარეობდა და ბერძნთა მონათესავე ხალხით იყო დასახლებული.

[**] მიკენთა მეფე იყო.

[*] კურსივი ყველგან ჩვენია.

ქვეშ, გამომძიებელს ალბად იმედი ვერ მიუცია ქალისათვის. გაბოროტებულ დედას უბიდან ამოუღია შუშით **კარბოლოვის სიმჟავე** და დასალევად დასწაფებია; გამომძიებელს ხელი უტაცნია, შუშა გაუგდებინებია, მაგრამ ქალს ცოტას დალევა მოუსწრია; ხახა გამომწვარი აქვს და სახეზეც დამწვარი აქვს. კარბოლა, ბ, იუსტინოვსაც გადაჰსხმია ხელზე და დაუწვავს. ქალი დააპატიმრეს თავის მოკვლის განზრახვისათვის.

◆ 11 თებერვალს დანიშნულია **საზოგადო საკრებულო წევრთა კრება.** განსახილველია 1911 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში და გამგეობის წევრების არჩევა.

◆ **ფოთის ქალაქის გამგეობას** გადაუწყვეტია—ააგოს ქალაქის ბაღში სათეატრო დარბაზი.

◆ **საოპერო დასი** ორშაბათიდან დაიწყებს ქალაქის თეატრში წარმოდგენების მართვას. პირველ დღეს დანიშნულია ოპ. „დემონი". სამშაბათს—ქ-ნ. **ელ. თარხნიშვილის** მონაწილეობით „რიგოლეტო".

◆ სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტში გაირჩა სოხუმის ქალაქის მოურავად ნამყოფ თ-დ. ნიკო თავდგირიძის საქმე, რომელიც ტფილის სასამართლო პალატის გადაწყვეტილებით სამსახურიდან დათხოვნილი იყო. თ-დ თავდგირიძეს ბრალად უმოქმედობა სდებოდა, რომელიც იმით გამოიხატა, რომ არ შეატყობინა გუბერნატორს იმ მოსამსახურეთა სია, რომელნიც ქალაქის თვითმართველობაში მსახურობდენ და რომელთა შორის მდივნის ადგილზე მოწვეული იყო ვინმე სახოკია, რომელიც პოლიტიკურ დანაშაულობისთვის სამართალშია მიცემული. თ-დ თავდგირიძის **დამცველად** სახ. სათათბიროს წევრი **ვ. ა. მაკლაკოვი იყო.** დიდი ხნის თათბირის შემდეგ სენატმა სამსახურიდან გადაყენებულად სცნო.

◆ სახაზინო პალატა სთხოვს ქალაქის გამგეობას, გაუგზავნოს მას **სია გადასახადებისა** ქუთაისის უძრავ ქონებაზე.

◆ 10 თებერვალს პოლიციელებმა **შეიპყრეს 8 წლის ბავშვი,** რომლის ვინაობა ჯერ ვერ გამოარკვიეს. თვითონ ამბობს,—ირკუტსკის გუბერნიიდან ვარო და ჯარის კაცებს გამოვყევი. ბავშვი რუსულად ლაპარაკობს და ტანისამოსიც უცნაური აცვია. („კოლხ.")

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელს ნომერში მოყვანილი გვქონდა **ვალოდია ზუბრიცკის** შესახებ. მოყვანილ ცნობაში კორექტურული შეცდომაა. გასამრავლებელი რიცხვი იყო:

$$\begin{array}{r} 9879 \\ \times\ 7476 \\ \hline 73{,}855{,}404. \end{array}$$

**დამატებაში** დაბეჭდილ სურათს აწერია: ამერიკელი მწერალი დიკკენსი, უნდა იყოს **ინგლისელი.**

# ქუთაისის ავ-კარგი

ბევრჯერ აღნიშნულა გაზეთების ფურცლებზე ქუთათური ყასბების თავ-გასულობა, მაგრამ არ იქნა, არ მოეღო ბოლო; არც ნიხრის დაწესებას უყურებენ ისინი და არც ოქმების და ჯარიმების ეშინიათ. ბევრი მათგანი ისევ განაგრძობს თვითნებობას და მუშტრების უზრდელად მოპყრობას; რაც უნდა სთხოვო მათ, შენს გემოზე არ ჩამოგიჭრიან ხორცს და თუ ჩამოსჭრეს, სამი გირვანქის მაგიერ ორ გირვანქას მოსჭრიან, დანარჩენს დააწონენ ან ძვალს, ან კუდის რიკს, ან კამეჩის ხორცს და სხვ., ერთი სიტყვით ისეთ ნაჭერს, რომელიც ადამიანს არ ეჭმევა. ხშირად წონაშიაც მოგატყუებენ. განაპირა უბნების მეყასბეებში ხომ უფრო უარესობას შეხვდებით.

ქალაქის გამგეობას ჰყავს ბაზრის ზედამხედველები, რომლებიც ვალდებულნი არიან თვალყური ადევნონ მეყასბეებს, მაგრამ, რა გამოვიდა: ამ გვარ შემთხვევის დროს შეუდგენენ ოქმს და გადასცემენ სადაც ჯერ არს, რამოდენიმე ხნის შემდეგ დააჯარიმებენ მეყასბეს 20—30 მანეთით; ის არხეინად იხდის ჯარიმას და შემდეგ ისევ ძველებურად იქცევა, მალე ინაზღაურებს თვის ზარალს მუშტრების ჯიბით.

როგორც ამას წინად ვწერდი, ქუთაისში **სანოვაგე გაძვირდა,** რასაც მეტად ხელს უწყობს ჩარჩების თავისუფალი თარეში, რომელთა რიცხვში უფრო მეტი ებრაელებია. თუმცა ქალაქის გამგეობას დადგენილი აქვს, რომ 12 საათამდე ჩარჩებს ნება არ მიეცეს სოფლებიდან შემოტანილი სანოვაგის ყიდვისა, მაგრამ არ იქნა, **ჩარჩები** ვერ ალაგმეს; გათენებამდის ერთი საათით ადრე გაიპარებიან ქალაქს გარედ, იქ უდარაჯებენ სოფლიდან შემოსულ ხალხს და ყიდულობენ ქათმებს, კვერცხებს, ყველს და სხვას, რომელსაც შემდეგ მამასისხლად ჰყიდიან მცხოვრებლებზე. საჭიროა უფრო სასტიკი ზომების მიღება მათდა ასალაგმავად.

ერთი წელიწადია მას აქეთ, რაც ქალაქმა წყალგაღმა ნაწილში, ორპირის ქუჩაზე, გახსნა **აფთიაქის ფილიალური განყოფილება;** რელიგიონმა, რომელსაც აფთიაქი აქვს რიონის პირად, თეთრ ხიდთან, აღძრა ამაზე საჩივარი და ბოლოს სენატის გადაწყვეტილებით მოიგო საქმე, რის გამო პირველ თებერვლიდან კიდევაც დახურინა ქალაქს ეს განყოფილება. ეხლა საბჭომ დაადგინა მიენდოს სააფთიაქო კომისიას, ხმოსან იურისტებს და ექიმებს შეიმუშაონ შუამდგომლობა და ითხოვონ სადაც ჯერ არს, რათა ქალაქს ნება მიეცეს მეხუთე ნორმალური აფთიაქი გახსნას; დღეს ქუთაისში არსებობს ოთხი აფთიაქი.—ამათ რიცხვში ერთი ქალაქისა; ეს აფთიაქები ყველა თითქმის ქალაქის ერთ ნაწილშია გახსნილი, ამის გამო საჭიროა, რომ, თუ ქალაქი მიიღებს ნებართვას, აფთიაქი გაიხსნას წყალგაღმა ნაწილში შუა ადგილას, როგორც მაგალითად, „ღულაძისეულ" მოედანთან.—ამასთანავე საბჭომ დაადგინა ხელახლა აღიძრას შუამდგომლობა, რათა წყალგაღმა ნაწილში გაიხსნას ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

**ლადო ბზვანელი.**

## კ ა ნ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ.

**პრემია „ბრდემლი"** ქ. ქუთაისის ყველა ხელის-მომწერლებმა უნდა მოიკითხონ ჟურნალ-გაზეთების კანტორა **„იმერეთ"-ში.**
**„სახალხო გაზეთი"-ს კანტორა.**

# ხმა თელავიდან

ყურადღების ღირსია, რომ აქაური წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი ამ ბოლო დროს არა კმაყოფილდება მოწაფეებთან ერთფეროვან, გაკვეთილების დროს მეცადინეობით და დრო გამოშვებით ჰმართავენ სხვა და სხვა გასართობ სალამოებს, რომელშიაც განსაკუთრებით მოსწავლენი იღებენ მონაწილეობას დიდ-პატარობის განურჩევლად. ერთი ასეთი სხდომა 2 თებერვალს გაიმართა პანსიონში მცხოვრებ მოწაფეთა მონაწილეობით, რომელთაც გარედამ მოსიარულენიც ეხმარებოდნენ. **საღამოს** ჩართული ჰქონდა წარმოდგენა. ითამაშეს „ბარომეტრი" და „ფოსტალიონის აბგა". ამის გარდა ლექსებს კითხულობდნენ, და პიანინოზე უკრავდნენ. ეს სალამო მოეწყო მასწავლებელ ქალს კნიაჟნა თ. ნ. მაჩაბელისას, შინაარსიანი გამოდგა და მეტად მხიარულად ჩაიარა. სალამოს, მოსწავლეთა გარდა, გარეშენიც დაესწრნენ.

ჩვენ მოსწავლე ახალგაზრდობასაც ესაჭიროება სულიერი საზრდო- გონებრივი გართობა და ასეთი სალიტერატურო სალამოები-კი ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია. ამისთვის სხვა სასწავლებლებმაც რომ შემოიღონ ეს, მეტი არ იქნება.

31 იანვარს სასულიერო სასწავლებელში მოხდა ზემო მხრის **სამღვდელო პირთა კრება** ბლალოჩინის ამოსარჩევად. არჩევნებში მონაწილეობას იღებდნენ მედავითნენიც, მხოლოდ ოთხი კაცი ერთი კენჭით ჰსარგებლობდა. თითქმის ერთხმად ბლალოჩინად ამოირჩიეს ს. კურდღელაურის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი **ლ. ღვინიაშვილი.**

ქ-ნ საფაროვ-აბაშიძის საიუბილეო წარმოდგენის მომწყობ კომისიას უნდოდა ამ ყველიერში უფასო წარმოდგენა გაემართ 22 იანვარს ნათამაშევს პიესას გაიმეორებდნენ, კომისიამ გადასწყვიტა-კიდეც, მაგრამ სისრულეში ვერ მოიყვანა ადგილს უქონლობისა გამო, სადაც შეეძლო ასეთი წარმოდგენის გამართვა.

ეს გარემოებაც ცხად ჰყოფს თუ რამდენად საჭიროა თეატრი თელავისათვის.

29 იანვარს საზოგადო საკრებულოში **დამხმარე საზოგადოების** მეთაურთ მოაწყეს უფასო **ლექცია** მდაბიო ხალხისათვის. თელავს გარდა იყვნენ ახლო-მახლო სოფლებიდამაც. **ნ. მთავრიშვილისამ** წაიკითხა დამხმარე საზოგადოება და მის მნიშვნელობაზე, ხოლო თავ. **ალ. ციციშვილმა**—კოოპერაციაზე, მის ისტორიაზე და სარგებლობაზე: ნახევარ საათზე მეტი ილაპარაკა ლექტორმა და ისე გასაგებ ენით საუბრობდა, რომ ყველა დამსწრეთ შეიგნეს მისი მნიშვნელობა და ვისაც ზოგიერთი საკითხები ვერ გაეგო, თავ. ციციშვილი კიდევ უმარტავდა შემკითხველთ.

ვერაფერი ყველიერი დაგვიდგა, ზამთარმა კუდი მოიქნია, გაავდარდა, ორი დღე **თოვდა,** თუმცა ფეხი ვერ მოიკიდა—თანა დნება. ასეთი ტაროსი მეტად მარგებელია ჰირნახულისათვის, თორემ კარგა ხანია მზიანი დღეებია და ხეხილს კვირტის აღივება დაეტყო.

**დ.**

# წერილი ხარკოვიდან

ვინც კი ქართულ ჟურნალ-გაზეთებს კითხულობს, უეჭველია ეხსომება, თუ რა არა სასიამოვნო ამბავი მოხდა შარშან, ხარკოვის ქართველ სტუდენტთა ცხოვრებაში. ქართველ სათვისტომოს ორად გაყოფის, და ისედაც სუსტ ძალების დაქსაქსვაზედ მოგახსენებთ. ეს ამბავი, შარშანვე ბევრს არა სასიამოვნოდ დარჩა მით უმეტეს, რომ მიზეზი ამ გაყოფისა უმნიშვნელო იყო იმ საქმებთან შედარებით, რომელსაც სათვისტომო ეწოდება. და ამ მიზეზით ეს დიადი საქმე არ უნდა დანგრეულიყო. მაგრამ ჩემი წერილის მიზანი ამ განხეთქილებაზედ ლაპარაკი არ არის და ამიტომ პირდაპირ საგანზედ გადავალ.

„სახალხო გაზეთის" ერთ-ერთ ნომერში თუმცა მე თვითონ აღვნიშნე, რომ გაყოფის შემდეგ, ორივე სათვისტომომ („ქართული" და „ქუთაისისა") როგორღაც დიდი უნარი გამოიჩინა თავის მოქმედებაში და საქმიანობაში მეთქი, მაგრამ, ბოლოს-და-ბოლოს, დრომ მაინც თავისი გაიტანა და ეს მოქმედება მისუსტდა წრეულ ხომ, ორივე სათვისტომოს მდგომარეობამ შესაბრალისი სახე მიიღო.

ამ გარემოებას ხელი შეუწყო აგრეთვე სწავლა-განათლების მინისტრის ცირკულიარმა, რომლის ძალითაც სხვა და სხვა ორგანიზაციებსა და მათ შორის სათვისტომოებსაც, უნივერსიტეტში კრების გამართვის ნება აეკრძალათ.

მაგრამ ბედმა გაგვიღიმა...

ქართველ სტუდენტთა ცხოვრების წყვდიადში საამურმა ვარსკვლავმა შემოანათა... შეიგნო არა ერთმა ქართველმა, რომ ასეთ მდგომარეობაში ყოფნა ყოვლად შეუძლებელია, რომ საჭიროა სათვისტომოების შეერთება.

ამას ხელი შეუწყეს აგრეთვე ახლად მოსულმა სტუდენტებმაც. მათი მდგომარეობა გამოურკვეველი იყო. არ იცოდნენ რომელ სათვისტომოში ჩაწერილიყვნენ.

გამოჩნდნენ მეთაურნიც... გამართეს ხელის მოწერა, თუ ვისა ჰსურდა შეერთება. (რადგან საერთო კრების მოწვევა შეუძლებელი იყო, საქმე რეფერენდუმით გადასწყდა). გამოირკვა, რომ დიდი უმრავლესობა შეერთების მომხრეა.

ამის შესახებ მსჯელობა იქონია ქართველ სათვისტომოს გამგეობამ, რომელსაც შეერთების საწინააღმდეგო აზრი არ გამოუთქვამს.

22 იანვარს საფაროვ-აბაშიძის 30 წ. მოღვაწეობის იუბილეს გამართვის, ქართულ სათვისტომოს ტრადიციულ სალამოს და სხვა ამ გვარ დიდ საქმეებს, აუცილებლად სჭირია ძალა და მოქმედება.

ერთის სიტყვით, მრავალმა პირობებმა შეუწყო ხელი იმას, რომ შეერთების აზრი დაბადებულიყო და ფრთები შეესხა.

ახლა ამ მხრივ მოქმედება მგონი არ შეჩერდება და მოკლე ხანში სასურველ ნაყოფს გამოიღებს.

⁂

ხარკოვის საოპერო თეატრის რეპერტუარი წრეულს გაამდიდრა ერთმა პიესამ, რომელსაც აქაური საზოგადოება დიდის აღტაცებით მიეგება. „**ლალატზე**" მოგახსენებთ. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული ოპერა ათჯერ მეტჯერ დადგეს, მას ხალხი მაინც ბლომად ესწრება და სიამოვნებით ისმენს. განსაკუთრებული საზეიმო ხასიათი ჰქონდა ამ პიესის დადგმას 10 იანვარს 1912 წ.

ამ დღისათვის, საოპერო თეატრის გამგეობამ მოსკოვიდან დაიბარა ავტორი მ. მ. იპოლიტოვ—ივანოვი რომ მის რეჟისორობითა და დირიჟორობით დაედგათ ხსენებული ოპერა.

იპოლიტოვ-ივანოვი, რამდენიმე დღით ადრე ჩამოვიდა ხარკოვში და რეპეტიციებს შეუდგა... ეს ფაქტი უყურადღებოდ არ დასტოვა აქაურმა ქართველმა სტუდენტობამ. მოისურვა პატივი ეცა იმ კომპოზიტორისათვის, რომელმაც პირველად შექმნა რთული მუსიკალური ნაწარმოები ქართული [illegible] კოლორიტით. და ამით გააცნო მთელ რუსეთის საზოგადოებას ჩვენი კულტურის ერთი მხარე. გაიმართა მსურველთა ხელის მოწერა. ასზე მეტმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა...

დადგა ხსენებული დღე... თეატრი ხალხს ძლივს იტევდა... გამოჩნდა იპოლიტოვ-ივანოვი დირიჟორის ადგილზე. საზოგადოება აღტაცებით მიეგება. ტაშის ცემას დასასრული არა ჰქონდა. კომპოზიტორი იძულებული იყო მთელ 10 წუთს ფეხზე მდგარიყო და მადლობის ნიშნად თავი ეკრა საზოგადოებისათვის. ამ საზოგადოებაში ქართველებიც ბლომად ერივნენ. ამიტომ იყო, რომ იმ საერთო ხმაურობაში, ხან და ხან გაისმოდა ქართული „ვაშას" ძახილი.

**დ. ელიოზიშვილი.**

(დასასრული იქნება)

# მცირე შენიშვნა

ჩვენში არის ისეთი საკითხები, რომლებზედაც დღესაც იგივე ითქმის, რაც ამ 10—15 წლის წინად ითქმებოდა ასეთ საკითხთა შორის, საკითხი არის მეაბრეშუმეობის გავრცელებისა ჩვენში. ამ საგანზე პირადად მე ყოველ წელს ერთ და იმავე აზრის გამოთქმა მიხდება. ვწერთ, ვყვირით, ვბაქი-ბუქობთ და ჩვენი საქმიანობაც ამით თავდება. პრაქტიკულად მოღვაწე ადამიანებით ჩვენი ქვეყანა ღარიბია. გაზეთში გამოუქმულ სასარგებლო აზრებს საზოგადოება იშვიათად იყენებს. მოღვაწეები, რომლებიც პრესაში გამოთქმულ აზრს ცხოვრებაში ახორციელებდენ არა გვყავს. ეს არის მიზეზი რომ ბევრი დიდებული აზრი რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. მეაბრეშუმეობის შესახებ ბევრი რამ კარგი გამოთქმულა და ამ მეურნეობის დარგის აღსადგენად ბევრი პროექტები შეთხზულა. დღესაც მინდა საზოგადოების ყურადღება მეაბრეშუმეობის საქმეთა უნუგეშო მდგომარეობაზე მივაქციო. ახლოვდება სეზონი მეაბრეშუმეობისა და როგორც საზოგადოებაში ისე პრესაში მისი საქმეების კარგად მოწყობაზე არაფერი ისმის. მოვაგონებ იმ ინტელიგენტებს, რომლებთაც ხალხის კეთილ-დღეობა ენაზე აკერიათ, რომ მეაბრეშუმეობის ამ მდგომარეობაში დატოვება ყოვლად შეუძლებელია, მეაბრეშუმეობის საქმე ამ ჟამად კრიზისს განიცდის და რაიმე ღონისძიების მიღებაა საჭირო. იფიქრეთ და იმოქმედეთ ბ. ბ. რამე თორემ ხალხს მეაბრეშუმეობის აღგვით ერთი შემოსავლიანი წყარო დაუშრება.

**აქილესი.**

---

მეტიკა ფრიქს. ამ სურათს წაადგება მეფე კრიტესი. დაუკმაყოფილებელი ჟინი მძლავრად ამხილებს თავს დემეტიკას გულში და იგი ერთი წუთითაც არ შემდგარა იმ საშინელ ბრალდების წინაშე, რომელიც ფრიქს თავს მოახვია. ფრიქსის ბედს ვეზირთა საბჭო სწყვეტს, ერთი ქადაგი რჩევას იძლევა ფრიქსისა და ელეს ღმერთებისათვის მსხვერპლად შეწირვისას და მეფეც ეთანხმება ამ აზრს. შეამზადეს კოცონი და თვალახვეულნი დაძმანი სამსხვერპლოდ მოიყვანეს. ამ დროს ასტყდება ჭექაქუხილი და „თვით ზევსმა თვისი სამსხვერპლო შემუსრა, გაატიალა".

ამ სურათის შემდეგ პოეტს კავკასიონის მთებზე გადავყევართ, სადაც ციდან ცეცხლის მოტაცებისათვის სალს კლდეზე მიჯაჭვული ამირანი და მისი მოსარჩლე, ფრიქსისა და ელეს მშობელი, ნეფელა იმყოფებიან. ნეფელა ამირანის მოსარჩლეობისათვის „ღრუბლად ქცეული მთის კალთებს ეუფლებოდა".

ამირანს „პირიდან ბუშტი აღმოხდება, ვერძმაც იქ იჩინა თავი". ეს ვერძი წაუძღვება წინ ნეფელას და მიიყვანს თვის შვილებთან იოლქს. ოქროს-მატყლოვანმა ვერძმა ზურგზე შეისხა ფრიქსი და ელე და კოლხეთისაკენ გამოაქროლა.

მგზავრები უკვე პონტის ზღვას (შავ-ზღვას) შემოადგნენ, „ელე შიშითა კრთებოდა: ძირს ტალღა აბორგებული სხვა ტალღას ეხეთქებოდა". ელე ზღვაში ჩავარდა და დაიღუპა; ამ ადგილსაც სწორედ ამიტომ დაერქვა „ელესპონტი", ფრიქსი კუნძულს შეამჩნევს და მისკენ მიაშურებს. ეს კუნძული გახლდათ კოლხიდა, რომელსაც ჩვენი პოეტი ასე აღწერს:

„რა ყვავილი, რა მცენარე, რა ალვის ხე და ჩინარი!
სურნელებას ველს აბნევდა ვარდი, წითლად პირმჩინარი;
იადონი ტოლს უძახდა, თან დაჰქროდა იქვე წყაროს,
სხვა ფრინველნი ტკბილ გალობას შორს უწევდნენ ღვთის სამყაროს".

მაგრამ დისა და სატრფოს დამკარგველს ფრიქს იგი ადგილი წარმტაცი შავად ეჩვენებოდა. მის გულს მწუხარების სქელი სუდარა გადაჰფარებოდა და უხშობდა ტურფა ბუნების ჰვრეტით დატკბობის სურვილს. იგი მწარედ მოსთქვამდა:

...„ჩემო ელე, ვაი, რისთვის მიეფარე?
აბა, რა ვქნა მე უშენომ, თავს ნაცარი წავიყარე!"
დღე დავლიო მარტო მყოფმა, მთელ სიცოცხლეს ვივაგლახო?
ეჰ ბულბულო, ვისთის უსტვენ? აღარ გისმენს ელე წყნარი?

თუ რამდენად ძლიერი იყო ფრიქსის ელეს დაკარგვით გამოწვეული მწუხარება, ეს სხვათა შორის შემდეგი სიტყვებიდანაც სჩანს:

ცაო, ცაო! ეგ ლაჟვარდი, აღარ არის ჩემთვის ვრცელი,
დედამიწავ, შენ მიმიღე, გამითხარე მღვიმე ბნელი!

ფრიქს მოევლინება დედა და ურჩევს ვერძი ზევსს შესწიროს, ხოლო ოქროს მატყლი კი ირას უძღვნას, „ცამდი მაღალ ხეს დაჰკიდოს".

„გმირმა, კლდეზე მიჯაჭვულმა, ბოლოს მომცა დარიგებ;
ტყავი იყოს **ერის განძი, მისგან იქნეს დიდი შვება**".

ფრიქსმა აასრულა დედის დარიგება. ოქროს მატყლოვანი ვერძი დაჰკლა, გაატყავა და ზევს შესწირა მსხვერპლად, ხოლო ოქროს მატყლოვანი ტყავი კი არიის ტაძრის ახლო ხეზე ჩამოჰკიდა; მცველად მიუყენა გველეშაპი, რათა რომელიმე ბოროტის ხელს არ მოეპარა იგი. ამით თავდება ოქროს მატყლოვან ვერძის ამბავი. მასში მრავალი მხატვრული ადგილებია, მაგრამ მოკლე კრიტიკულ წერილში ყველას აღნიშვნა შეუძლებელია. მარტო ფრიქსის ზევსისადმი ლოცვა-ვედრება რად ღირს!

ან კიდევ დემეტიკას ცეკვა მეფის სასახლეში გამართულ ნადიმის დროსგანა ნამდვილი ღრმად მხატვრული სურათით არ არის გადმოცემული? აბა მოისმინეთ:

„დემეტიკა წინ წარმოდგა, სათამაშოდ გაემზადა:
გაიშალა თმა-გიშერი, ფლოსტი ფეხთით გაიხადა;
გადიხარა წელში ოდნავ, მკერდს ლეჩაქი აეხადა:
შავი თვალი იქ მიაპრო, სადაც ფრიქსი გაეცხადა.
ხან თითებზე შესდგებოდა, ხან ხელებსა აღაპყრობდა,
ხან გაშლიდა ოქროს ნაქსოვს, სრიალობდა, ნავარრდობდა,
ხან დახრიდა დაბლა თვალებს, ხან ზეცისკენ აღაპყრობდა,
ხან ფრიქსს მალულ შეხედავდა და მალულვე აშიყობდა
მას ერთს თავსა აწონებდა, მისთვის ასე ხელოვნობდა.

ვიმეორებ, ეს სურათი იმდენად ძვირფას ფერადებითაა შემკობილი, რომ მისი სავსებით ამოწერა აუცილებლად მიგვაჩნია.

შემდეგ პოეტი იასონისა და რენოს ამბავს მოგვითხრობს. პელეის მეფე მოიხმობს თვის ძმისწულს იასონს და მას კოლხეთს გამგზავრებას ურჩევს, რათა ხელთ იგდოს ოქროს-მატყვლოვანი ტყავი და მით სახელი გაითქვას:

„როს დაბრუნდები სიამით გამხნევებული,
ჩემს ტახტს გადმოგცემ და სკიპტრას, როგორც მაქვს დავალებულიო.

გულში მეფეს კი სულ სხვა ჰქონდა: იგი დარწმუნებული იყო, რომ იასონი დაიღუპებოდა და ხელს აღარავინ შეუშლიდა მის მეფობას.

იასონს გაჰყვენ:

„ჰერკულეს, პატრონი რკინის მკლავისა,
ფიდო მასხარა, კვიმატი, გამქარვებელი წყლულისა.
თავადნი, წარჩინებულნი, დარბაისელის სულისა.

პოეტს მეტად მიმზიდველად და მხატვრულად აქვს აწერილი იასონის სიზმარი. აბა, ზღვის ქაფზე გამოჩენილ ქალის პოემაში დასურათება გაითვალისწინეთ, თუ იგი მართლაც მხატვრულად და საუცხოვოდ ასრულებულად არ გეჩვენოსთ.

„ცალ-ხელ აპყრობილს ზეცისკენ მარგალიტები სცვიოდა.
გიშრის დალალი-ნაწნავი ბროლ მკერდზე ეფინებოდა:
ტანსა ებურა ლეჩაქი; მოხდენით იღიმებოდა და სხვა.

მკითხველმა თვითონ უნდა დაკვირვებით წაიკითხოს ეს ადგილი, რომ აღტაცებაში მოვიდეს იმ მხატვრული ფერადებით რომელიც მრავლად გაბნეულია მასში.

უეცრივ ზღვა ძლიერმა ღელვამ მოიცვა. მგზავრები ძალზე შეშინდნენ და განგებას შველა შეჰღაღადეს. ცოტა ხნის შემდეგ: „აღმოსავლეთით გაიპო შავთა ღრუბელთა ზეწარი, ცისკარმა ამოანათა, ტალღაც მიყუჩდა მკვნესარი". იასონმა და მისმა მგზავრებმა ნაპირისაკენ მიაშურეს დ პრიამის სამეფოში გადავიდნენ.

პრიამი დიდის ამბით მიეგება იასონსა და მის მხლებლებს და ლხინიც იქმნა გამართული. ეს სურათიც მშვენიერად აქვს გადმოცემული პოეტს. იასონი ჩანგზე დამღერის შემდეგს საგმირო სიტყვებს:

„ვინ სთქვას ბედი სად მიგვიწვევს და ვინ გვექმნას ჩვენ მხსნელ-ფარად;
თუ გველოდეს შავი საფრთხე, მივისწრაფვით სულ წინ მარად.
თავსა ვსწირავთ ბრძოლის ველზე, სასტიკ სიკვდილს ვიმჩნევთ არად.
დაგვიტირებს გულის სატრფო, შეიქნების ვარდი მჭკნარად.

არ ვიცი, რომელი ადგილი აღვნიშნო პოემიდან: ტროადელთა და აქეელთა დაჯიბრება, მათ მიერ ბურთის თამაში, თუ ჰერკულესისა და ტროადელთა ფალავანის შეჭიდება. ყველა ესენი პოეტს ისეთ მხატვრულს ფორმებში ჩამოუსხამს, რომ სურათი ნათლად გვეშლება თვალ წინ და უძველეს დროის სამეფოში მიგვაქანებს.

როდესაც ჰერკულესი და ტროადელთა ფალავანი ერთმანეთს ეკვეთნენ, ამ დროს იასონს ბაღში „გულს მიეყრდნო მეფის ქალი" რენო, რომელსაც „თხელ მარმაშის ტანისამოსს შეურხევდა ოდნავ ქარი, ნათლად სჩანდა მოხიბვლეველი ძუძუ, მკერდი, ტანი მრგვალი, თითქო კოკორ-აყრილიყო, ცეცხლით სავსე მოტრფიალი".

განა ძვირფასად არ არის გადმოცემული რენოს და იასონის ტრფიალი ბაღში? ან მათი ფიცი ურთიერთის ერთგულებისა, როდესაც, ტროადელთა და აქეელთა შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების გამო, იგინი იძულებულნი არიან ერთმანეთს განშორდნენ? განა ნათლად არ ამხილებენ ჩვენი პოეტის მადლიან ნიჭს, ნიჭს, რომელიც თუმცა ჯერ სრულიად არ გაფურჩქვნილა, მაგრამ რომელმაც უკვე გვაუწყა გაფურჩქვნის გზაზე დადგომა?

„იასონი ერთხელ კიდევ ეამბორა მეფის ასულს, ხოლო „რენომ ცრემლი დააფრქვია, ვარდს ემსგავსა გლახ ფერწასულს!

პოეტის საქებლად ნუ ჩამომართმევენ, თუ ვიტყვი, რომ რენოს სულიერი ვითარება საყვარელთან დაშორების გამო პოეტს მეტად ცოცხლად, მეტად სრულად აქვს გადმოცემული. რენო „ხშირად დილით მაღალ კლდეზე ავიდოდის, სულის ღელვით, სულის შფოთვით ზღვასა ვრცელსა გასცქეროდის, არ აკრთობდა ზვირთის გრგვინვა, როს გრიგალი მასზე ჰქროდის". აბა მოისმინეთ მისი ღრმად ჩამაფიქრებელი, ყურად-საღები სიტყვები ჩვენის არსებობის შესახებ:

„**ვსტირით ოდეს ვიბადებით, ვსტირით მეტის სიხარულით:**
**ვსტირით ოდეს ყრმა-ჭაბუკნი ვიმსმჭვალებით სიყვარულით.**
**ვსტირით, ოდეს საფლავს სჭრიან, ვსტირით სევდით დაფარულით:**
**გულში ვსტირით ნათელ სახით, ცხადად ვსტირით დალარულით!**
**ვსტირით და თავს ვინუგეშებთ ამაო გზად სიარულით.** *)

ეს სიტყვები იმ მხრივაცაა ღირსშესანიშნავი, რომ რენოს პირით თვით ავტორი ღაღადებს: ჩვენს სიცოცხლეს დაბადებიდან თან დაჰყოლია კვნესა გოდება, რომელიც ყოველს ნაბიჯზე ამხილებს თვის თავსო. დასასრულ, ორიოდე სიტყვა პოემის ენის შესახებ. პოემა იმდენად ძვირფასი ენითაა დაწერილი, იმდენი მრავალი საუცხოვო ფერადები და მხატვრული ადგილებია მასში შოთასებრ ენით გამოთქმული, რომ მკითხველის გულში აღფრთოვანებას იწვევს და ძალზე ულვიძებს სამშობლო მწერლობის აყვავება—გაფურჩქვნის იმედებს.

ეჭვი არაა, თვითეული ქართველი სიხარულით მიეგებება ჩვენი ახალგაზდა პოეტის ამ ახალ ნაწარმოებს და მის არსებას მოიცავს ძლიერი წყურვილი პოეტის ხელის შეწყობისა, რომ მან სავსებით განავითაროს თვისი ნიჭი და მით უკვდავი განძით შეამკოს მშობლიური მწერლობის სალარო.

**ალ. წერეთელი.**

(დასასრული იქნება)

---

*) კრსივი ყველგან ჩვენია.

# ჩინეთის რესპუბლიკა

### დეპეშები.

**მუკდენი.** გენერალ-გუბერნატორს ჯაოერსუნს ციციკარისა და გირინის გუბერნატორებმა აცნობეს, ჩვენი ბრძანებისამებრ მთავრობის დაწესებულებათა შენობებზე რესპუბლიკის დროშები ამართესო.

ამას წინად დაარსებულ „უშიშართა საზოგადოების „წევრებმა იუანშიკაის შეუთვალეს, რესპუბლიკელებს იარაღით შევებრძოლებითო. საზოგადოებაში მონაწილეობას ღებულობენ ჯაოერსუნი, ჩანცოზოლ, თელიანი და ბატონიშვილი ცზაიცზე. იუნშიკაიმ დაბეჯითებით მოსთხოვა ბატონიშვილ ცზაიცზესა და თელიანს, პეკინს დაბრუნდითო. ჩჟანსილანი ჯაოერსუნთან ვერაფერს გახდა. ამიტომ დეპეშა გაუგზავნა იუანშიკაის, ნება მომეცით პეკინს დავბრუნდეო. იუანშიკაისა ჰსურდა ჩჟანსილუანისთვის ჩაებარებინა მთავარი ძალები და ამნაირად ჯაოერსუნისა და ჩჟანცოლინისთვის ძალა დაეკარგვინებინა, მაგრამ ვერ მოახერხა.

**ჩიფუ.** აქ 1000 ჯარისკაცი ჩამოვიდა. თან ზარბაზნები და ყუმბარები ჩამოიტანეს.

**კაშგარი.** თუმცა ხმა დადიოდა, არეულობა უნდა მოხდესო, მაგრამ ჩინელთა ახალმა წელიწადმა მშვიდობიანად ჩაიარა.

**ჩიფუ** შანჰაიდან 600 ჯარისკაცი ჩამოვიდა და თან ორი ზარბაზანი და ოთხი ტყვიის მფრქვევი ჩამოიტანა.

**პეკინი.** რესპუბლიკის დიდი მოწინააღმდეგე შანსის პროვინციის გუბერნატორი შენიუნი, იგი 10 ათას მანჯურიელით გალაშქრებას აპირებს, ქალ. სიანფუში დაბანაკებულ რესპუბლიკელთა ჯარზე იუანშიკაის. ლიუანქუანთან მოლაპარაკება აქვს შენიუნთან ბრძოლის თაობზე.

იუანშიკაი მოწოდებაში ამბობს, ახალგაზდა ჩინეთის უმთავრესი საზრუნავი საგანი უცხოელთა დაცვა უნდა იყვესო.

**ტოკიო.** იაპონია დაეთანხმა ამერიკას ჩინეთში სახელმწიფოებთან შეთანხმებით იმოქმედონ. მანჯურიაკი გამოაცალკეონ, რადგან იაპონიას იქ განსაკუთრებული ინტერესები აქვს.

**მუკდენი.** გირინისა და ციციკარის გუბერნატორებმა ჯაოერსუნს შეუთვალეს ჩვენც ვიზიარებთ თქვენს შეხედულებას რესპუბლეკაზე და, თუ თქვენ გადადგებით, ჩვენც აღარ ვემსახურებით ახალ მთავრობასაო. ამბობენ, ჯაოერსუნმა იუანშიკაის სთხოვა, ნება მომეცით პეკინში ჩამოვიდე და მანჯურიის ვითარება გაგაცნოთო.

# იტალია-ოსმალეთის ომი

### (დეპეშები).

### ნაღმოსნების დაძირვა.

**ლონდონი.** ბეირუტიდან „რეიტერს“ ატყობინებენ; იტალიის კრეისერებმა „ველტურნომა“ და „გარიბალდიმ„ მოითხოვეს ბეირუტში მყოფი ოსმალეთის ნაღმოსნები დაგვმორჩილდნენო. გუბერნატორმა მოლაპარაკების დაწყებაც ვერ მოასწრო, რომ იტალიელებმა ნაღმოსნები ჩასძირეს. საბაჟო და ნავთსადგური დაზიანდა. 60 კაცი დაიღუპა. შეშინებული ხალხი ლივანისკენ გარბის.

**რომი.** იტალიელებს შეუტყვიათ, რომ ბეირუტში ოსმალეთის ორი სამხედრო გემია, რომელსაც კონტრაბანდა მიაქვს და იტალიელებზე თავდასხმას აპირებსო. იტალიელთა კრეისერებმა ბრძანება მიიღეს, ბეირუტს წადით და ოსმალეთის გემები ჩაძირეთო. ეს ბრძანება აასრულეს. ოფიციალური ცნობა არა აქვთ, დაბეჯითებით კი ამბობენ ქალაქისთვის ზარბაზანი არ დაუშენიათო.

**პარიზი.** „ჰავასს„ ბეირუტიდან დეპეშა მოუვიდა: იტალიის ორი სამხედრო გემი მივიდა ნავთსადგურთან და გუბერნატორს მოსთხოვა, დილის ცხრა საათამდე მანდ მდგომი ოსმალეთის ნაღმოსანი და ნაღ მიუკარებელი გემი გადმოგვეცითო. გუბერნატორმა უარი შეუთვალა. იტალიელებმა ასტეხეს ზარბაზნის სროლა, ნაღმოსანი დაძირეს, ნაღ მიუკარებელი გემი დააზიანეს და გაბრუნდნენ. ქალაქში ხალხი ღელავს და უცხოელთა საწინააღმდეგო დემონსტრაციებსა ჰმართავს.

**ტულონი.** ლევანტში გასაგზავნად რამდენიმე კრეისერი მოამზადეს, მათ საფრანგეთის ინტერესები უნდა დაიცვან.

**მალტა.** ჯავშნოსანმა „ლანკასტერმა“ ბრძანება მიიღო, ზღვაზე გადიო. ალბად ბეირუტში თუ ჰგზავნიან.

**რომი.** ოფიციალურის ცნობით, მართალია ბეირუტში ოსმალეთის ნაღმოსნების დაღუპვის ამბავი; ტყუილია, ვითომც ქალაქისათვის ზარბაზანი დაეშინოთ.

**სტამბოლი.** გაზეთები ერთხმად მოითხოვენ უმწეო ნავთსადგურზე თავდასხმის გამო იტალიელების განდევნას. შეიძლება მთავრობამ სირიიდან იტალიელები განდევნოს.

**ბეირუტი.** ქალაქში სიმშვიდეა, სამხედრო წესები შემოიღეს.

**პარიზი.** კრიტედან კრეისერი გემი „ადმირალი შარნე“ ბეირუტს გაჰგზავნეს.

**სტამბოლი.** ხმა დავარდა, რომ იტალიელები მერსინას ზარბაზნის დაშენას უპირებენო. სმირნის კომენდანტს გამოუცხადეს, ერთ დღეს შემდეგ ზარბაზანს დაგიშენთო.

**რომი.** პალატებს მთავრობა 104 მილიონსა სთხოვს მხედრობისთვის და 30 მილიონს საზღვაო სამინისტროსათვის. 10,600,000 ლირი გადასდეს ტრიპოლისა, ბენგაზსა, დერნასა და ხომსში სანავთსადგურო სამუშაოსთვის. ეს ფული უნდა მოჰხმარდეს ტელეგრაფსა და ტელეფონს.

**სტამბოლი.** ამბობენ, იტალიელებმა ალექსანდრეტტას ზარბაზანი დაუშინესო. პორტამ სახელმწიფოთა წინაშე პროტესტი განაცხადა ამის გამო. ბეირუტში მომხდარ ამბის თაობაზე ოფიციალური ცნობა გამოაქვეყნეს. იტალიელებს ნაღმოსანი „ავნულა“ და „ანგორა“ ჩაუძირავს, ხალხი ძალიან აღელდა, მაგრამ ვალიმ შემოიარა ქალაქი და დასამშვიდებლად მოწოდება გამოსცა. სულ მოკლულია 15 და დაჭრილია 100 კაცი. დამასკიდან ბეირუტს სწრაფის მატარებლით სამი ესკადრონი გაჰგზავნეს.

**ლონდონი.** „რიტერს“ შეუტყვია, ბეირუტში დახოცილთა შორის ორი რუსეთის ქვეშევრდომიც ურევიაო.

# არეულობა სპარსეთში

### დეპეშები.

**ურმია.** სოფელ ქიარიმ-აბადთან 200 ქურთი ურმიიდან მომავალ ქარავანს დაეცა. ქარავანს მიეშველა რუსების რაზმი და სპარსეთის მხედრობა. ექვსი საათის ბრძოლას შემდეგ ყაჩაღები გაჰფანტეს. რუსებს დაუჭრეს ორი აქლემი, დაჭრილდახოცილია 20 ქურთი.

**თავრიზი.** რუსეთის ჯარის გრენადერთა ბრიგადის ორი ბატარეა, რომელიც დეკემბერს მოვიდა რუსეთს დაბრუნდა.

# დეპეშები

### საზღვარ-გარედ.

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

12 და 13 თებერვალი.

### იტალიის პარლამენტი.

**რომი.** პალატა საანექსიო დეკრეტისა გამხილველ კომისიის წევრმა მარტინიმ მოხსენება წაიკითხა და აღნიშნა: 5 ნოემბერს გამოცემული დეკრეტი ანექსიის თაობაზე, საპოლიტიკო მდგომარეობით იყო გამოწვეულიო. მოხსენება დეპუტატებს მოეწონათ. ჰოლლიმ განაცხადა, თუმცა კაბინეთის მოწინააღმდეგე ვარ, მაგრამ ვერ დავგმობ ტრიპოლისში სამოქმედო კანონ-პროექტსაო. სოციალისტმა ჩიკოტტიმ სთქვა, მე ერთად-ერთი სამხრეთელი ვარ, მოწინააღმდეგე კანონპროექტისაო. სოციალისტთა ბელადი ბისოლატი ამბობს, მართლაც შეუძლებელია იტალიამ ნება მისცეს ვისმე ლიბიის აღებისაო; თუმცა ხმას არ მოგვცემთ, მაგრამ ვაღვიარებ, რომ ლიბიის აღება მამულიშვილურმა გრძნობამ გამოიწვიაო, სტამბოლის წრეებს, დიდი იმედი აქვთ სოციალისტების და ოპოზიციონერებისა, მაგრამ უნდა ახსოვდეთ, რომ სოციალისტებიც ჰზრუნავენ თავის სამშობლოს ინტერესებისათვისო. ალესიომ რადიკალთა სახელით მთავრობას თანხმობა გამოუცხადა. ბარზილაიმ აღნიშნა, თუმცა კაბინეთის მოწინააღმდეგე ვარ, მაინც ხმას მივცემ კანონპროექტსაო. ტრიპოლის ომი—ისტორიული აუცილებლობაა. პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს დეკრეტი, რომელიც სისხლის ღვრის გამო სინამდვილის გამომსახველად იქცაო. სოციალისტმა ენრიკო ფერიმ განაცხადა, დემოკრატიულ საპოლიტიკო რეფორმის განმახორციელებელს მთავრობას მხარს დავუჭეროთ. დღევანდელი კენჭი ყრა განათლებულ ქვეყნებს დაანახვებს ხალხის სურვილს.

მინისტრ-პრეზიდენტი ჯიოლიტი: განათლებულ სახელმწიფოთა მაგალითი გვიმტკიცებს საახალშენო პრობლემათა აუცილებლობას. ნეტა სულ საახალშენო ომები იყოს ხოლმე, რადგან იგი საცივილიზაციო ომია. იტალია ვერ მოითმენს ოსმალეთის სუვერენიტეტის არსებობას და, საჭირო იყო ამ ილიუზიის გაქრობა. მტრებმაცა და მოყვრებმაც კარგად იციან თუ რა მუხლია ისა, რომელშიაც იტალია ვერაფერს დასთმობს. ჩვენთვის არც ერთ სახელმწიფოს არ შეუშლია ხელი და თუ იტალიამ სამხედრო მოქმედების ფარგალი შეზღუდა, ეს თავის ნება იყო (ძლიერი ტაშისცემა). პალატამ 441 ხმით 38 წინააღმდეგ (ერთმა მონაწილეობა არ მიიღო) მოიწონა მუხლობრივ განხილვის ფორმულა დეპ. კარნაკოსი: ფორმულა ნდობას უცხადებს მთავრობას, მისი მოქმედება მართებულად მიაჩნია და აღნიშნავს: ვასრულებთ რა მთელი ერის სურვილს, გადავდივართ კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვაზეო. ფარულის კენჭით, 423 ხმით 9 წინააღმდეგ, კანონპროექტი მიიღეს (მოწონება). სხდომის დროს ხალხმა მონტე-ჩიტორიოსთან დროშებით პატრიოტული დემონსტრაცია გამართა. ჯიოლიტიმ და სხვა მინისტრებმა აივნიდან ხალხს მადლობა გადაუხადეს. მეფის სასახლის წინაც გამართა ხალხმა პატრიოტული მანიფესტაცია.

### იტალიის სენატი.

**რომი.** სენატის სხდომას ჰენუეზისა და აოსტის ჰერცოგები დაესწრნენ. მათ შესვლაზე სენატორები ფეხზე წამოდგნენ და დასძახეს: „მეფეს გაუმარჯოსო“. პრეზიდენტმა სალამი მისცა ჰერცოგებს და ფლოტისა და არმიის დამამშვენებელი უწოდა, აოსტის ჰერცოგმა მადლობა გადაუხადა.

ჯიოლიტიმ სენატში პალატის მიერ მიღებული კანონ-პროექტი შეიტანა, ტრიპოლისა და კირენაიკზე იტალიის სუვერენიტეტის გავრცელების თაობაზე; სენატმა დიდის სიხარულითა და ამბით ერთხმად მიიღო კანონ-პროექტი.

### ავსტრია-უნგრეთი.

**ვენა.** „მილიტარიშე კორესპონდენტი“ სწერს ტყუილია, ვითომც ავსტრია-უნგრეთის ჯარს მთოგრეხილ მეტალკის ოსმალეთის კუთვნილი ნაწილი დაეპყროსო. ამ ხმების დამადასტურებელი ჯარის გადასვლა-გადმოსვლა არ მომხდარაო.

„ნეიე-ფრაიე-პრესე“ იუწყება, გარეშე საქმეთა სამინისტროს გამგის ესტერგაზის-მაგივრად, რომელიც სამსახურს თავს ანებებს, გრაფს ფორგაჩს ჰნიშნავენო. ფორგაჩი დრეზდენის ელჩად არის.

### მინისტრ-პრეზიდენტის თხოვნა.

**ბუდაპეშტი.** მინისტრ-პრეზიდენტმა მოუწოდა პალატას, შეჰქმენით სამხედრო რეფორმის განსახილველად ნორმალური პირობები და დასძინა, თანახმა ვარ წელს საარჩევნო უფლების რეფორმის კანონპროექტი შემოვიტანოო. კოშუტის პარტიის წევრმა გრაფმა აპპონიმ განაცხადა, მინისტრი თითქმის ჩვენი აზრისააო. გაზეთების სიტყვით, ობსტრუქციაში მონაწილეობას მიიღებს იუსტას პარტიიდან მხოლოდ 55 წევრი.

### გაფიცვის მოლოდინი.

**ლონდონი.** გაფიცვის მოლოდინში, საელექტრონო სადგურმა აუარებელი ქვანახშირი შეიძინა. ნახშირი კედელთან ეყარა, რის გამოც იგი ჩამოწვა და რამდენიმე ბავშვი დაიტანა.

**ლონდონი.** მენშენჰაუზში ლონდონის ლორდ-მერის თავმჯდომარეობით მერების კრება მოხდა. კრებამ ერთხმად გადასწყვიტა მიმართოს მრეწველებსა და მუშებს, მხედველობაში მიიღონ საერთო კეთილ-დღეობა, რომელსაც გაფიცვა დაარღვევსო.

### ჩრდილოეთ-ამერიკელნი.

**ვაშინგტონი.** ჩრდილოეთ-ამერიკის ჯარს უბრძანეს, მექსიკის საზღვარს გადადი, როგორც კი შეატყო, რომ ჩრდილოეთ. ამერიკის კავშირის ტერიტორიას საფრთხე მოელისო. ამბობენ, შეიძლება მექსიკის საზღვარზე ჯარის საერთო მობილიზაცია გამოაცხადონო.

### მფრინივის დაღუპვა.

**პო,** მფრინავი დიუკურნო 150 ადლის სიმაღლიდან ჩამოვარდა და დაიღუპა.

### რ უ ს ე თ ი.

### სასოფლო საზოგადოებათა უფლება.

**პეტერბურგი.** სენატმა განმარტა. რომ სოფლის საზოგადოებათ უფლება აქვთ წრმუნებულება მიანდოს არა მარტო თავის საზოგადოების წევრთ, არამედ გარეშეთაც.

### უსაფუძვლო ხმები.

ცნობათა-შემკრები ბიურო იუწყება, ტყუილია, ვითომც შინაგან საქმეთა სამინისტროს გუბერნატორთათვის ცირკულიარული წინადადება მიეცეს, რათა ამომრჩეველთა სია, გამოქვეყნებამდე, განსახილველად წარუდგინონ სამინისტროს.

### ხელშეუხლებლობის კანონ-პროექტი.

კომისიამ მიიღო პიროვნების ხელშეუხლებლობის კანონ-პროექტის მესამე, მეოთხე და მეხუთე მუხლები მეიენდორფის შესწორებით, რომელიც პოლიციის უფლებას სისხლის სამართლის წარმოების ფარგალითა ჰსაზღვრავს.

### ხარჯთ-აღრიცხვა.

ხარჯთ-აღრიცხვის კომისიამ დაამთავრა შემოსავლის განხილვა. ჩვეულებრივი შემოსავალი 2.896.519.261 მანეთს უდრის, არაჩვეულებრივი 5.400000 მ.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართველ მსახიობთა ამხანაგობა.** ამ დიდმარხვაში, რადგან დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ უარი განაცხადა ანტრეპრისაზე, შესდგა ქართველ მსახიობთა ამხანაგობა, რომელშიაც შედიან თითქმის ყველა შარშანდელი მსახიობნი და მათ გარდა ქ-ნი ანეტა ქიქოძისა და ბ--ნი ალ. იმედაშვილი. რეჟისორებად იქნებიან დროგამოშვებით ვ. აბაშიძე, კ. მესხი და ვ. გუნია.

**„ცოცხალი მკვდარი“ ქართულ სცენაზე.** ლეონ ტოლსტოის ცნობილი პიესა „ცოცხალი მკვდარი“, რომელიც გადათარგმნა გიორგი ახალციხელმა და დაიბეჭდა „სახალხო გაზეთის“ დასურათებულ დამატებებში, სდგამს ვასილ აბაშიძე მოსკოვის სამხატვრო თეატრის მისიონ სცენების მიხედვით. აბაშიძე ამ სამი თვის წინედ მოსკოვში დაესწრო ამ პიესის წარმოდგენას სამხატვრო თეატრში.

**დიდმარხვის რეპერტუარი** ქართულ მსახიობთა ამხანაგობას უკვე შეუმუშავებია რეპერტუარი სადიდმარხვოდ, სხვათა შორის წარმოდგენილი იქნება „ტაიფუნი“, „მსხვერპლი“ გედევანიშვილისა ავტორის პატივსაცემად, „გენრიხ ნავარიელი“ „ოტელლო“ „ვიდრე ხვალ უფალო?“ და სხვა.

**ოზურგეთი.** 2 თებერვალს ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობის დარბაზში წარმოდგენილ იქნა აწყურელის ორმოქმედებიანი დრამა „დასჯილი“. მოთამაშეთაგან კარგი იყო ბ-ნი ფონ-შტერი გერასიმეს როლში. ესვევე არ შეგვიძლია ვსთქვათ ქ-ნ მ. ნაკაშიძის (ელენე) თამაშზე. მას ამ ღამეს როლის უკოდინარობასთან სათეატრო მიმოხვრაც აკლდა. საკმაო რიგიანად ჩაატარა ნიკოლაი სემიონოვიჩის როლი ბ-ნ გ. გოგიტიძემ, რომელიც ალაგალაგ თავისი გრძნობიერი თამაშით მსმენელთა გულს იმორჩილებდა. ქ-ნ მ. ნაკაშიძე გურულის კილოთი ლაპარაკობდა. ეს კი სცენაზე შეუწყნარებელია. ჩვეულებრივ მოხდენილად თამაშობდა ბ-ნი ხურციძე ვასოტ-ლის როლში. ი. დემუროვიც რიგიანი იმერელი მოსამსახურე იყო.

ბოლოს ითამაშეს რუსულად „ტოტოშნიცა“,—ხუმრობა ერთ მოქმედებად ტუპოშენკოსი.

ამავე საღამოს საქალაქო სასწავლებლის შენობაში გაიმართა **ბალი-მასკარადი** ქ. ქ-ნ ზაკუსოვას, ჯულელისა და ბ-ნ ტუზოვის გამგეობით საზოგადოება შარშანდელზე უფრო ნასიამოვნები დარჩა, როგორც წარმოდგენა, ისე ბალი-მასკარადიც საქალაქო ვაჟთა და ქალთა სასწავლებლების ღარიბი მოწაფეების სასარგებლოდ იყო გამართული. წმინდა შემოსავალი 200 მანეთს აღემატებოდა. ჩც

**დაბა სამტრედია.** კვირას, 5 თებერვალს, რკინის გზის თეატრში წარმოდგენების მმართველ სექციის ხელმძღვანელობით, სცენის მოყვარეებმა ითამაშეს **შიუკაშვილის** 4 მოქმედებიანი პიესა **„სიმახინჯე“.** მოთამაშეთა შორის ირჩეოდნენ: ქ-ნი კ. კობახიძე, გ. მუმლაძე, ალ. კორძაია, ქ-ნი მამფორია და ა. მამაგეიშვილი. ბ-ნმა კ. კობახიძემ საბას როლი დაკვირვებული თამაშით ღირსეულად ჩაატარა. საზოგადოებამ არა ერთხელ დააჯილდოვა მხურვალე ტაშით. გ. მუმლაძეს თავიდანვე აღებული ტემპერამენტი ბოლომდე გაჰყვა. საზოგადოდ ბ-ნი მუმლაძე ჯეროვან უნარს და მუყაითობას იჩენს სცენისადმი. ალ. კორძაი თომას როლში რიგიანი იყო. აგრეთვე ქალ. მამფორიამ და მამაგეიშვილმა, მგრძნობიარე და დაკვირვებულის თამაშით ჯეროვანი ყურადღება მიიპყრეს საზოგადოებისა. დანარჩენი მომქმედნი პირნი ანსამბლს ხელს უწყობდენ. ხალხი საკმაოდ დაესწრო და ნასიამოვნებიც დარჩა.

**ი. გზისპირელი.**

# წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! გთხოვთ ამ შენიშვნას თქვენს პატივცემულ „სახალხო გაზეთში“ ადგილი დაუთმოთ. სხვა და სხვა მიზეზებისა გამო „დიდი მოურავის“ გამოსვლა დაგვიანდა, ეხლა უკვე მზათ არის და თებერვლის გასვლამდე გამოვა.

**გამომცემელი ზ. ჭიჭინაძე.**

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა მიმოსვლა

**ზამთრობით** (15 ოქტომბრიდან 1911 წ.) (დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

### ტფილისიდან გადის.

**ბათუმისაკენ:** 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—II კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 3 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) ჩქარი მატ. № 2, I—II კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარში ღამ. 1 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარამში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—II კლ. ღამ. 11 ს. 8 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარამი დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარამში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სამგზ. მატარებ. № 9/6ს, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:** 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

### ტფილისში მოდის.

**ბათუმიდან;** 1) სამგზ. № 6, I—II კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, I—II კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

**ბაქოდან:** 1) სამგზ. № 5, I—II კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ, 4) შერეული № 07, IV—III კლ. ღამის 9 ს.

**ერევან-ჯულფიდან:** საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზ. № 61/ 0, I—III კლ. დილ. 8 ს.

**შენიშვნები:** 1) გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტიითაა (საკუთარ. საწოლებით).

### გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე.

(ზამთარში).

### რუსეთის საზოგადოებისა.

**ბათუმიდან გადის:** ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკითფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

**სახალხო გემები** ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

**სახალხო-საქონლის** გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

### უფასო საექიმო დახმარება

### ქალაქის საბჭოს ექიმები.

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10, 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715) |

### ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველ[illegible]) [illegible] ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

::

### სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოხიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

0, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველან შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 5 და მალაკანის მოედანზე.

# განცხადებანი

თმის
საღებავი
კაკლის ექსტრაქტისა
თმას სწრაფად და საფუძვლიანად ჰღებავს, სურვილისამებრ ნაზ-ქერა ფრად, თუ კუპრშავად
თავდებნი ვართ, რომ უვნებელია.
პარფ. № 4711. თეოდ. მიულგანსი
მიხ. იმპ. უდ. სრულ. რუს. იმპ. სასახლის იჯარადარი კოლნი დ ა რ ი ნ გ ა.
დაარს, 1792 წ.

ფასი ფლაკონისა 1 მან. 20 კაპ.
დიდი ფლაკ. 2 მან.
M. 28830.
(8—1060—4)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.
მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.
იღებენ ავადმყოფთ:
**ბაბაჯანოვი**—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დილის 11—12 ს.
**ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.
**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრვებსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.
**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.
**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სთ.
**ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა**—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და ზასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.
**წამლობა ,,606''-ით.**
(100—1615—23)

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
,,606'' —11—12 ს. შეხაპუნება კონსულტატიურად.
**ბ. ა. ნავასარდიანი;** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. აგასაროვი:** 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
**ნ, ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
**კბილის** საექიმო კაბინეტი **ი. ა. ფრანკისა** 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნური კბილების ჩასხმა.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.
**ი. ა. ფრანკი:** 5—7 ს.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1074.14)

ტფილისი სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა 12.